# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივნისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 16 ივნისი. 2023 წ. №69 (9601) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# ხელისუფლების „აყირავების“ გეგმა ძალაშია




იხ. 3 გვ.

„მთელი ერთი დეკადის მანძილზე რაც იყო, არ შეიძლება იმის იდეალიზაციას მივყვეთ – რომ ესენი არიან მხოლოდ გულანთებული ახალგაზრდები, – არა, ესენი არიან კარგად ორგანიზებული შიდა ძალები, რევოლუციური სცენარით, რასაც ერთი ძალიან მარტივი მიზანი აქვს – მოხდეს საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავება, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ“.

## რევოლუციური კომიტეტი შექმნილია

პოლემიკა „ნისლიან მემკვიდრეობაზე“



## გიორგი ლაღიაშვილი:

# ეკლესიაზე თავდასხმა, რომელიც ძეგლებზე მზრუნველობით იფუთება

არქეოლოგიის დოქტორი **გიორგი ლაღიაშვილი** ღია წერილს ავრცელებს, რომლითაც ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემაში გასულ სიუჟეტს ეხმაურება. წერილს უცვლელად გთავაზობთ.

„წინამდებარე წერილი ეხება ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემაში „მე-17 სართული“, 2023 წლის 21 მაისს გასულ სიუჟეტს. მომიტევოს „ფორმულამ“, არ ვარ მისი მაყურებელი, ამ სიუჟეტს კი სულ ახლახან, შემთხვევით, სოციალურ ქსელში წავაწყდი და ეს არის მიზეზი წერილის მოგვიანებით დაწერისა. სიუჟეტის სათაურია „მიშენება-დაშენება კახეთის ძეგლებზე“. ვინაიდან ჩემი პროფესიული საქმიანობა სწორედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან არის დაკავშირებული, მოვიკრიბე ნებისყოფა და რაღაც საშინელი ვანდალიზმის მხილების მოლოდინში ბოლომდე ვუყურე ამ სიუჟეტს.

იხ. 6 გვ.

## ომარ მარგველაშვილი:

# ყორშიას ყიყინი „მთავარი“ წუმპიდან



4

# კულტურის ნგრევის რევოლუციიდან, კულტურის გადარჩენის რევოლუციამდე...



4

ქართული კულტურა „ევროპალიაზე“

საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2023“

„დაისი“ მასიმო ბელინის ოპერაში გაჟღერდება

12

# მსოფლიოში 110 მილიონი ლტოლვილია!



ლტოლვილთა რაოდენობის ზრდის ძირითადი მიზეზია სამხედრო კონფლიქტები, მაგალითად, უკრაინაში. ასევე სხვა რეგიონული კონფლიქტები. თუ 2021 წლის ბოლოს უკრაინაში 27 300 ლტოლვილი აღირიცხა, 2022 წლის ბოლოს მათი რაოდენობა 5,7 მლნ-მდე გაიზარდა. ეს ემიგრაციის ყველაზე დიდი ტალღაა ომის შემდეგ. 2022 წელს ასევე დადასტურდა დიდი რაოდენობით ლტოლვილთა ნაკადი ავღანეთიდან და სუდანიდან. ამასთანავე, ლტოლვილთა მეხუთედი ისეთ ქვეყნებში იმყოფება, რომლებიც მსოფლიო მშპ-ის მხოლოდ 1,3 %-ს აწარმოებენ. ლტოლვილთა რიცხვი 110 მილიონს აღემატება.




## ირაკლი ღარიბაშვილი:

# ჩვენი ძალისხმევა მიმართულია ევროკავშირში გაწევრებისკენ!

**...მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, ევროპულ ერებს შორის ჩვენი ადგილის დაბრუნება ქართველების მრავალი თაობის ოცნება იყო და ჩვენ მზად ვართ, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა ამ ოცნების ასრულებისთვის,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელში, საერთაშორისო ფესტივალ „ევროპალიისა" და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო გახდა ერთ-ერთი ლიდერი იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სურვილი აქვთ, გახდნენ ევროკავშირის წევრები.

**„ნამდვილად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ ისეთი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების შესრულება, როგორებიცაა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მოპოვება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და გავხდით ერთ-ერთი ლიდერი იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სურვილი აქვთ, გახდნენ ევროკავშირის წევრები. ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა, რაც საქართველოს თანამედროვე ისტორიის ყველაზე დიდი საგარეო პოლიტიკური მიღწევაა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ წლის ბოლოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის და საქართველოს დასავლური ინტეგრაციის სრულიად ახალი ეტაპის დაწყებისთვის.**

**სრული პასუხისმგებლობით მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩვენი ვალდებულება, განვახორციელოთ ევროკომისიის ყველა პრიორიტეტული რეკომენდაცია და მოვიპოვოთ კანდიდატის სტატუსი. ჩვენ არასოდეს გადაგვიხვევია არჩეული გზიდან და ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ, ევროპულ და აყვავებულ მომავალს წინ არაფერი დაუდგეს. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენმა ისტორიამ, კულტურამ, ღირებულებებმა და ბოლოდროინდელმა მიღწევებმა მოგვამზადეს ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე გამოწვევების დასაძლევად.**

**საქართველოს გეოგრაფიამ ხელი შეუწყო ქართველების მდიდარი ისტორიის ჩამოყალიბებას, ევროპისა და აზიის, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გასაყარზე, დიდ იმპერიათა შორის ბრძოლების ეპიცენტრში ყოფნამ, როდესაც ხშირად თავად ვიყავით ამ დაპირისპირების სამიზნე საუკუნეების განმავლობაში, ამან მხოლოდ გააძლიერა ჩვენი ერი, ჩამოუყალიბა ჩვენი იდენტობა და ღირებულებები, ევროკავშირში გაწევრიანების ჩვენი სურვილი ამ უნიკალურ ისტორიულ გამოცდილებაშია. ეს არის ის, რაც გვაძლევს თავდაჯერებულობას, გავაგრძელოთ ეს გზა, მაშინ, როდესაც ძალიან ცოტას სჯეროდა, რომ ჩვენ ამას შევძლებდით.**

**უძველესმა კოლხებმა, ოქროს საწმისის მფლობელებმა, ადრეულმა ქრისტიანმა ქართველებმა IV საუკუნეში ან ადრეული ქართული აღორძინების ოსტატებმა XII-XIII საუკუნეებში ჩაუყარეს საფუძველი იმ ერს, რომელმაც გაუძლო ისტორიის მრავალ უბედურებას და მოახერხა არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ მსოფლიოს აჩუქა ჩვენი არქიტექტურის, ოქრომჭედლობისა და ლიტერატურის მრავალი შედევრი. შოთა რუსთაველის მე-12 საუკუნის ეპიკურმა პოემამ, „ვეფხისტყაოსანმა" კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჩვენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და არანაკლებ მნიშვნელოვნად დაგვეხმარა ჩვენი უნიკალური ენის შენარჩუნებაში, იმავე ენისა, რომელზეც რომის იმპერიის დროს ვსაუბრობდით და ახლაც ვაგრძელებთ საუბარს ამ ენაზე. წერისთვის ჩვენ ვიყენებთ უნიკალურ და უძველეს ანბანს, რომელიც, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეში არსებობდა. ქართული ანბანის დამწერლობის სამი სისტემა დღეს იუნესკო-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია",** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## სალომე ზურაბიშვილი:

# მრავალ ადამიანს უთხოვია შეწყალება, თუმცა მათ ვუხსნიდი, რომ შეწყალება არ არის გამოსავალი!



**ქართველები ძალიან ჰუმანურები, ძალიან ტოლერანტულები არიან, თუმცა მოსახლეობის შეგრძნება ისეთია, რომ სააკაშვილმა უნდა გადაიხადოს მისი რეჟიმის დროს ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისთვის,** – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა „უკრაინსკაია პრავდასთან" ინტერვიუში განაცხადა.

ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა და ვოლოდიმირ ზელენსკიმ არაერთხელ ითხოვა საქართველოს ხელისუფლებისგან სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნება. კითხვაზე, რატომ ამბობს უარს მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე და განიცდის თუ არა ამ საკითხზე რამე გარე ზეწოლას, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ის პასუხისმგებელია, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის წინაშე.

**„როგორც პრეზიდენტმა, მე უნდა გავითვალისწინო, რას გრძნობს ქართველი ხალხი. ქართველმა ხალხმა სააკაშვილის რეჟიმის ცხრა წელი გამოიარა, რომელმაც მრავალი მსხვერპლი დატოვა. ეს არის საკითხი, რომელიც კვლავ ჰყოფს საქართველოს მოსახლეობას. ისეც არ არის, ქართველი ხალხი მიიჩნევდეს, რომ სააკაშვილი არ არის დამნაშავე. ისინი შეიძლება, არ ეთანხმებოდნენ იმას, რომ მას, შესაძლოა, ეპყრობოდნენ არა ისე, როგორც პრეზიდენტს უნდა ეპყრობოდნენ.**

**ქართველები ძალიან ჰუმანურები, ძალიან ტოლერანტულები არიან, თუმცა მოსახლეობის შეგრძნება ისეთია, რომ სააკაშვილმა უნდა გადაიხადოს მისი რეჟიმის დროს ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისთვის – შესაძლოა, არა პირადად მის მიერ, თუმცა მისი ხელმძღვანელობით. ასეთი შეგრძნებაა ზოგადად. ამასთანავე, არის შეგრძნება, რომ საჭიროა მასთან ღირსეულად მოპყრობა და გადაწყვეტილების მოძებნა. აღვნიშნავ, რომ ექსტრადირების მოთხოვნა არ ყოფილა. ყველაფერი ეს მთავრობის პასუხისმგებლობაა.**

**შეწყალება მორალური საკითხია, რომელზეც მე პასუხისმგებლობა მეკისრება ადამიანების წინაშე, რომლებიც სხვადასხვანაირები არიან. თუმცა, მე ვმუშაობ დიპლომატიურ საზოგადოებასთან, ევროპაში ჩემი კავშირებით და ვცდილობ, ვიმუშავო ხელისუფლებასთან გადაწყვეტილების მოსაძებნად, რომელიც უფრო მეტად იქნება იმის შესაბამისი, თუ როგორ უნდა ყოფილ პრეზიდენტთან მოპყრობა. სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან რეაგირება ჯერ არ ყოფილა. მათ შეუძლიათ ექსტრადირების მოთხოვნაზე სხვადასხვანაირი რეაგირება, თუმცა მათ უნდა მოახდინონ რეაგირება. ისინი პასუხისმგებლები არიან ამ გადაწყვეტილებაზე".**

კითხვაზე, ხომ არ ფიქრობს, რომ სააკაშვილის საკითხმა, შესაძლოა, უკრაინასა და საქართველოს შორის მეგობრობა დაანგრიოს, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები ამაზე მაღლა დგას.

**„ვიმედოვნებ, რომ არა და ვფიქრობ, რომ არა. მიმაჩნია, რომ ჩვენი ურთიერთობები ამაზე მაღლა დგას. ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რადგან ის ყოფილ პრეზიდენტს ეხება, თუმცა ისევ ვიტყვი, რომ ამ საკითხში პირველი მსაჯული არის ქართველი ხალხი, რომელმაც ის წლები გამოიარა. ქვეყნის ფარგლებს გარედან ყოველთვის ძალიან რთულია მსჯელობა იმაზე, როგორ აისახა ან არ აისახა ესა თუ ის რეჟიმი მოსახლეობაზე. ამიტომ ეს ალბათ ასევე გასათვალისწინებელია. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას",** – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

კითხვაზე, მიუმართავს თუ არა მისთვის პირადად ვოლოდიმირ ზელენსკის სააკაშვილის შეწყალების თხოვნით, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მრავალ ადამიანს მიუმართავს მისთვის ამ თხოვნით.

სალომე ზურაბიშვილს ასევე კითხვა დაუსვეს „მთავარი არხის" დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას შეწყალების თემაზეც, რაზეც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში სრულიად სხვა ვითარებაა.

**„ერთადერთი, როგორც ჩანს, არის ის, რომ პრეზიდენტს არ შეუძლია ზეწოლის ქვეშ შეწყალება, რადგან მასზე, შესაძლოა, ზეწოლა მოახდინონ შიგნიდან და მე ამის შესახებ ვისაუბრე ევროპარლამენტში. დღევანდელი დღის მდგომარეობით, ჩვენ, ვფიქრობ, სამი ათასი პატიმარი გვყავს. მათი ოჯახებიდან, მეგობრებიდან ან გავლენის ჯგუფებიდან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ზეწოლის დაწყება. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება ჩემზეა. მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას და ვიმოქმედებ მის შესაბამისად. მე საკუთარ თავზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას და ვიმოქმედებ, როდესაც გადავწყვეტ, გავაკეთო ეს თუ არა".**

## ჯორჯიის შტატის გუბერნატორი:

# საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებით ვუჭერთ მხარს

**ჯორჯიის შტატის გუბერნატორი ბრაიან კემპი პირველი ამერიკელი გუბერნატორია, რომელიც ოფიციალური ვიზიტით საქართველოში იმყოფება**, – აღნიშნულის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩო „ფეისბუქის" გვერდზე წერს.

როგორც საელჩოში აცხადებენ, ჯორჯიის შტატი, განსაკუთრებით კი მისი ეროვნული გვარდია ათწლეულებია, საქართველოს ახლო პარტნიორები არიან, იწვრთნებიან და მსახურობენ ერთად.

**„გუბერნატორ კემპისთვის გამორჩეულად საამაყო იყო სოფელ წილკანში აშშ-ის სამხედრო დახმარებით აშენებული მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფრის გახსნა. ეს პროექტი შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მრავალმხრივია ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობა და რისი გაკეთება შეგვიძლია ერთობლივი ძალებით",** – წერს საელჩო.



ამასთან, ჯორჯიის შტატის გუბერნატორის, ბრაიან კემპის განცხადებით, სოფელ წილკანში მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფრის გახსნა აჩვენებს, რომ აშშ-სა და საქართველოს საერთო ღირებულებები აქვთ.

**„ჩვენ ვეხმარებით საქართველოს მთავრობას და საქართველოს მოსახლეობას განსაკუთრებით ვუჭერთ მხარს, რასაც ამერიკელი სამხედროები და საქართველოს ეროვნული გვარდია აკეთებენ აქ დიდი ხნის განმავლობაში. ვფიქრობ, ეს არის ვალდებულება. ცხადია, აქ ხალხს ესმის გეოპოლიტიკა, რა ხდება მსოფლიოში ახლა, აშშ-ის მონაწილეობა და, რა თქმა უნდა, ომი უკრაინაში. ცხადია, საქართველოს მოსახლეობას ესმის, რა მდგომარეობაში არიან უკრაინელები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ვაგრძელებთ ასეთ შესანიშნავ პარტნიორობას აშშ-ის ჯორჯიის შტატსა და საქართველოს შორის",** – განაცხადა ჯორჯიის შტატის გუბერნატორმა.




# ხელისუფლების „აყირავების“ გეგმა ძალაშია

მმართველ გუნდში ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ რადიკალური ოპოზიციის ანტიქართული განცხადებები პირდაპირ უპირისპირდება ეროვნულ ინტერესებს. დედაქალაქის მერის, **კახა კალაძის** განცხადებით, ხელისუფლების ცვლილება არის ოპოზიციის ოცნება. ქვეყანაში არეულობა და რევოლუცია ბევრის ინტერესებშია, თუმცა მათ არაფერი გამოუვათ იმის გამო, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყნის და ხალხის ინტერესებზე მორგებულ პოლიტიკას ატარებს.

**„სამწუხაროა, რომ არასამართლიანი და პოლიტიკით გაჯერებული გადაწყვეტილება იყო კანდიდატის სტატუსზე უარი და ეს მიმართული გახლდათ იქითკენ, რომ გამოეყენებინათ ქვეყნის შიგნით არეულობისთვის, დაპირისპირებისთვის. რევოლუციის მცდელობაც იყო, მაგრამ მერწმუნეთ, არავის არაფერი გამოუვა. „ქართულ ოცნებას“ დღეს ჰყავს ყველაზე მეტი მხარდამჭერი, ვინც გვერდში უდგას, რადგან ჩვენ ვართ გუნდი, რომელიც ითვალისწინებს და ატარებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკას, რომელშიც გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის ინტერესები და ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ინტერესები“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, **გია ვოლსკის** განცხადებით, რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაა: **ჯაფარიძე, ვაშაძე, ხოშტარია, ხაზეიშვილი**, რომლებიც ცდილობენ, გარკვეული დისონანსი შემოიტანონ რეკომენდაციების შესრულების პროცესში. მისივე თქმით, ოპოზიციური ფლანგიდან სუბიექტები ერთმანეთს რევოლუციონერობაში ეჯიბრებიან.

**„რევოლუციური კომიტეტი შექმნეს, რომლის მთავარი ამოცანაა, ევროსტრუქტურებში საქართველოს საკითხი პოზიტიურად არ იყოს განხილული. ანუ, მას კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს. განცხადება, რომ ხაზეიშვილი და სხვები მუშაობენ, რათა ქვეყანამ სტატუსი მიიღოს, სიცრუეა. არ შეიძლება, რეკომენდაციების შეუსრულებლობაზე საუბრობდე და თან სტატუსს ითხოვდე. მათი მთავარი ამოცანაა, როგორმე რეკომენდაციები არ შესრულდეს. მათი ამოცანაა, საბოტაჟი შექმნან და... შექმნეს კიდეც“.**

ანალიტიკოსი, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ საქართველოსთან მიმართებაში ხელისუფლების „აყირავების“ ოპერაციის აქტიური ფაზის გატარება დაიწყო აშშ-ს ადმინისტრაციაში სწორედ დემოკრატების მოსვლის შემდგომ. მისი თქმით, მანამდე რესპუბლიკელების მიერ წარდგენილი **კელი დეგნანი** არ შედიოდა ხელისუფლებასთან ღია კონფრონტაციაში და ერიდებოდა ოპოზიციის მხარდაჭერას, რის გამოც **ნიკა გვარამია** სხვადასხვა ეპითეთებით ამკობდა.

ამჟამად დესტრუქციულ პროცესებში მისი ფლაგმანის როლი და ადგილი არანაირ ეჭვს აღარ იწვევს. მისი მოქმედებები იმდენად გამჭვირვალეა, რომ უახლოეს თვეებში დეგნანის უშუალო მონაწილეობით მოსალოდნელია განვითარდეს შემდეგი მოვლენები.

**„საკუთარი აგენტურის მეშვეობით, აშშ-ს საელჩო აქტიურად შეეცდება საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპიროს სახელმწიფო ინსტიტუტები და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტები. იმ ინსტიტუტებში, სადაც საელჩოს ჩასმული ჰყავს საკუთარი გავლენის აგენტები, „სახალხო დამცველის“ აპარატი, სახელმწიფოს არ მიეცემა არანაირი რეფორმის ჩატარების უფლება. იმ სფეროებში, სადაც საელჩოს და მის მიერ კონტროლირებად სექტორებს საფრთხე დაემუქრება გამჭვირვალობის ან დესტრუქციული საქმიანობის ეფექტურად გატარების კუთხით, დაბლოკილი იქნება ნებისმიერი ტიპის კანონშემოქმედებითი ან რეფორმაციის მცდელობა „რუსული კანონების“ სტიგმის ეგიდით. გაგრძელდება ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის ფართომასშტაბური და მრავალპროფილური დესტრუქციული შემოტევა ქვეყნის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო სექტორებზე. გაიზრდება მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივი პოლარიზაციის გაღრმავების კუთხით“**, – აცხადებს ქართველიშვილი.

მისი თქმით, ევროკავშირის მხრიდან კანდიდატის სტატუსზე უარის თქმის შემთხვევაში, აშშ-ის საელჩოს პროვოცირებით, ქვეყანაში მოსალოდნელია მასშტაბური საპროტესტო აქციების ორგანიზება ხელისუფლების გადადგომის და გარდამავალი (ტექნიკური) მთავრობის ჩამოყალიბების მოთხოვნით, რომელიც ჩაატარებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებს.

**„ამ კონტექსტში, არ არის გამორიცხული, ადგილი ჰქონდეს 2022 წლის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების რევოლუციას და 2023 წლის მარტის „რუსული კანონის“ მსგავსი პროცესების ინიცირების მცდელობას, სადაც წამყვან ძალად წინ წამოწეული იქნება სხვადასხვა „საზოგადოებრივი“ თუ „ახალგაზრდული“ ორგანიზაციები. მაღალი ალბათობით, აღნიშნული პროცესები უნდა განხორციელდეს და დასრულდეს აშშ-ის მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებამდე.**

**ამ ეტაპზე, ჩვენ ვიცით ვინ, რას და რა პერიოდზე გათვლით აპირებს და გეგმავს საკუთარი განზრახვების ხორცშესხმას. ერთია მცდელობა, მეორე შესრულება და მესამე წარმატებით დაგვირგვინება. თუ რა ძალები და საშუალებები იქნება მობილიზებული მოწინააღმდეგის მიერ ამ მიზნების მისაღწევად – ამაზე საუბრის დროც აუცილებლად დადგება“**, – აცხადებს **დავით ქართველიშვილი.**

ოპოზიციის პოლიტიკური მიზანი, რომ პროცესების რადიკალიზაცია და ამ გზით ხელისუფლების ქუჩიდან ცვლილებაა, ამის შესახებ საუბრობს პოლიტიკური მკვლევარი **ლუკა ეხვაია:** რომლის განცხადებით, ეს ჯგუფები ცდილობენ ყველა შესაძლო მექანიზმით და ინსტრუმენტით (ძალადობრივი და რევოლუციური გზით) ხელისუფლებაში მოსვლას, ძალაუფლების დაბრუნებას და შემდეგში უკვე იმ რეჟიმის აღდგენას.

**„მთელი ერთი დეკადის მანძილზე რაც იყო, არ შეიძლება მის იდეალიზაციას მივყვეთ – რომ ესენი არიან მხოლოდ გულანთებული ახლაგზრდები, – არა, ესენი არიან კარგად ორგანიზებული შიდა ძალები, რევოლუციური სცენარით, რასაც ერთი ძალიან მარტივი მიზანი აქვს – მოხდეს საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავება, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ.**

**ოპოზიციას დღეს რაიმე კონკრეტული შინაარსი აღარ გააჩნია და როდესაც შინაარსი არ გაგაჩნია და იდეებზე საუბარი არ შეგიძლია, ერთადერთი გამოსავალი რჩება, რომ დესტრუქციულ მექანიზმებს მიმართო და რაღაცნაირად თავი გამოავლინო ამ დესტრუქციით და ამიტომ, მუდმივად, კონფლიქტით და კონსტრუქციული პროცესის უარყოფით ცდილობენ თვითდამკვიდრებას“**, – აღნიშნა **ლუკა ეხვაიამ.**

რაც შეეხება ზურაბ ჯაფარიძის პოლიტიკას, ანალიტიკოსი **დავით ზარათაშვილის** განცხადებით, ჯაფარიძემ დაინახა, რომ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებიც ჩაფლული არიან ციფრულ სამყაროში, შეეძლო აეღო და მიიღო ამაზე დაფინანსება, რაც საკმაოდ წარმატებითაც განახორციელა და არჩევნებზე მიიღო 8%.

**„მაშინ ზურაბ ჯაფარიძემ იცოდა, რას აკეთებდა და ახლაც იცის, თუ რას აკეთებს. მაგრამ, ახლა რა პრობლემებიც მას აქვს, არის ის, რომ ცოტათი შეიცვალა ქართველების დამოკიდებულება იდეოლოგიური მდგენელის მიმართ და ახლა ერთადერთი შანსი აქვთ, გამოიყენონ თითოეული პატარა შანსი დესტრუქციისთვის, არეულობის შეტანისთვის და მერე უკვე ეცოდინებათ რას აკეთებენ.**

**ახლა შეიძლება ჩანს, რომ რაღაცა ნაბიჯები შეიძლება იყოს უფრო მეტად დამაზიანებელი, ვიდრე რეალურად რამის გამკეთებელი, მაგრამ აი, როცა შევა პროცესები არეულობის ფაზაში, მერე ნამდვილად იციან რა უნდა აკეთონ. ამიტომაც ისინი ხელს უწყობენ იმას, რომ რაც შეიძლება დიდი იყოს პოლარიზაცია საზოგადოებას შორის, რომ რაც შეიძლება მეტი ძალა იყოს მათკენ“**, – აცხადებს **დავით ზარათაშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

## ირაკლი კობახიძე: 27 ქვეყნიდან ერთს რომ ათქმევინო უარი, ქვეყანას არ მიეცემა კანდიდატის სტატუსი!



როგორც **კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა, გადაწყვეტილებას იღებს 27 ქვეყანა და თუ ერთმა მაინც თქვა უარი, საქართველოს არ მიენიჭება კანდიდატის სტატუსი.

**„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. რაც შეეხება ჩვენს პროგნოზს, იმავეს გავიმეორებ, რომ შანსები არის 50/50-ზე, ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. პოლიტიკური გადაწყვეტილება ყოველთვის არის 50/50-ზე. რა თქმა უნდა, რისკები ისევ მაღალია. საკმარისია, 27 ქვეყნიდან ერთს ათქმევინო უარი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე, ქვეყანას უკვე არ მიეცემა კანდიდატის სტატუსი. აქედან გამომდინარე, გლობალური ომის პარტიისთვის ძალიან მარტივია მანიპულირება ევროკავშირის გადაწყვეტილებების სფეროში, შესაბამისად, რისკები არის მაღალი. მაგრამ ჩვენ თუ დავანახებთ გლობალური ომის პარტიას, რომ ქვეყნის შიგნით არის სიმყარე, ჩვენ გვაქვს მყარი პოზიციები ქვეყნის შიგნით – ეს უნდა აჩვენოს გლობალური ომის პარტიას როგორც ხელისუფლებამ, ასევე საზოგადოებამ – ამ შემთხვევაში გაიზრდება ჩვენი შანსები, რომ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი. საბოლოო ჯამში, მაქვს იმედი, რომ ჩვენ მოგვენიჭება კანდიდატის სტატუსი დეკემბერში“...**

## წინ 45 000 აბიტურიენტი იჩქარის!..

### ერთიანი ეროვნული გამოცდები 3 ივლისს დაიწყება

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდები 3 ივლისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება, 26 ივლისს კი ფიზიკის გამოცდით დასრულდება.**

**ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირდა გამოსაცდელთა რეკორდული რაოდენობა – 45 000-ზე მეტი აბიტურიენტი.**

**2023 წლის არჩევითი საგნების სტატისტიკა აბიტურიენტთა არჩევანის მიხედვით ასე გამოიყურება: ისტორია აირჩია 22 200-მდე აბიტურიენტმა; მათემატიკა – 15 700-ზე მეტმა აბიტურიენტმა; ბიოლოგია – 3 600-ზე მეტმა აბიტურიენტმა; ქიმია – 2 600-ზე მეტმა აბიტურიენტმა; გეოგრაფია – 2 200-ზე მეტმა აბიტურიენტმა; ფიზიკა – 700-მდე აბიტურიენტმა; ლიტერატურა – 1 300-მდე აბიტურიენტმა; სამოქალაქო განათლება – 2 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება კი 300-ზე მეტმა აბიტურიენტმა აირჩია.**

**დეტალური ინფორმაცია გამოცდის თარიღის, გამოცდაზე გამოცხადების დროისა და საგამოცდო ცენტრის მისამართის შესახებ მითითებული იქნება საგამოცდო ბარათზე. გამოსაცდელები ბარათების ამობეჭდვას საკუთარი სარეგისტრაციო გვერდიდან 20 ივნისის შემდეგ შეძლებენ.**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს მიმართავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანა აპელაციის შედეგების გამოქვეყნების მომდევნო დღის ჩათვლით შეეძლებათ. კონკრეტული რიცხვი აგვისტოს თვეში გამოქვეყნდება.**



# ყორშიას ყიყინი „მთავარი“ წუმპიდან

*ცუდას ჩად უნდა მეცხრობა, კარგის მუდამ მეცხრიანი...*

**აუცილებელი არ არის, კაცი მსოფლიო პოლიტიკის ნიუანსებში ერკვეოდე, რომ შენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა რეალურად შეაფასო, მაგრამ ნებისმიერ მოქალაქეს, ვინც გინდა იყოს ის, აუცილებლად უნდა ესმოდეს, თუ რა არის უკეთესი თავისი სამშობლოსთვის; ელემენტარული ზრდილობა, უფროს-უმცროსობის გარჩევა და საჯარო სივრცეში მიღებული ნორმების დაცვაც თითოეულ ჩვენგანს ევალება.**

**არადა, რაც დრო გადის, ქვეყანაზე გარედან თავდამსხმელთა თუ შიგნით „მშვიდობიან“ ამრევთა და შეურაცხმყოფელთა რიცხვი არათუ არ იკლებს, დღითი დღე მატულობს კიდეც.**

დღე ერთია და თითო არაკაცი რომ არ გამოჩნდეს, ჩვენი ისედაც დაულაგებელი ცხოვრების უფრო მეტად არევის მსურველი, უკვე რახანია ხალხს წარმოუდგენელ ფუფუნებად მიაჩნია. აი, ახლაც, ორიოდე დღის წინ, საქართველოს მტრების მიერ ქვეყნის გარედან მართული, საჯარო სივრცეში სიცრუისა და შეურაცხყოფის „მთავარი“ მწარმოებლის, ე.წ „ტელეარხის“, სინამდვილეში კი ამაზრზენი „პანდორას ყუთის“ დაქირავებულმა ვიღაც მყრალმა ყორშიამ იმდენი მოახერხა, რომ ყველა კეთილსინდისიერი, კეთილგონიერი და თავმოყვარე ქართველი ერთიანად ააფორიაქა.

**საზოგადოებამ კარგად იცის, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებაზე ახალი პრეზიდენტი, ჩვენი ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, წლების განმავლობაში დედაუნივერსიტეტის ღირსეული რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი აირჩიეს, რომელმაც ამ თანამდებობაზე აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე 10-წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ შეცვალა.**

დარწმუნებული ვარ, აკადემიის ახალ პრეზიდენტს თავისი ახალი სამუშაო კაბინეტი არც ექნებოდა ხეირიანად გათავისებული, მის კაბინეტში ტელეფონის ზარი რომ გაისმა და თანამოსაუბრემ, რომელმაც თავი პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ თუ მთავრობის ადმინისტრაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად წარუდგინა, პირდაპირ პროვოკაციული დიალოგი წამოიწყო:

„არის აზრი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრობასთან ერთად აკადემიკოსის სტატუსსაც იმსახურებს“!..

ახალმა პრეზიდენტმა ამ ერთობ მგრძნობიარე საკითხთან დაკავშირებით და საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის გათვალისწინებით, აკადემიის ხელმძღვანელობის მხრიდან საკითხის განხილვის მზადყოფნა გამოთქვა.

ამ გულისამრევი სიცრუის შემდეგ საძირკველმორღვეულმა და ზნეობის არმქონე ტელეარხად შერაცხილმა „მთავარმა“ სანაგვემ, ერთი ამბავი ატეხა და ყოველგვარ ეთიკის ნორმებს მოკლებული, ყველა ზღვარს გადაცდენილი მონოლოგით დაიწყო პრემიერისა და აკადემიის პრეზიდენტის აბუჩად აგდება.

სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ყველა არსებული ჟურნალისტური წესის და ნორმების დარღვევით გაასაჯაროვა – აქაოდა, რა თავნებები არიან ეს ჩვენი ხელისუფლების და მეცნიერების მესაჭენიო.

ამ ამბავმა საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ამდენად, თავს მოვალედ ვთვლი, მეც გამოვხატო ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია:

**ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის საპატიო აკადემიკოსის სტატუსის მინიჭება მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, რის შესახებაც „მთავარის“ პროვოკატორებმა ვეჭვობ, რომ იცოდნენ! ამდენად, ამ თვალსაზრისით, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.“ ხოლო თუკი აკადემიის პრეზიდენტი ამ მოსაზრებას სრული სერიოზულობით მიუდგა, ამაში არაფერია გასაკვირველი, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი პრაქტიკა დიდი ხანია მიღებულია მსოფლიოში.**

პროვოკატორმა ვინმე ყორშიამ, როგორც ეტყობა, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ საერთოდ არაფერი არ იცის, ხოლო რაც შეეხება აკადემიის პრეზიდენტის როინ მეტრეველის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამბავს, ვფიქრობ, თავის ცოდნას თუნდაც კნინობითი კომენტარიც კი არ სჭირდება. საერთოდ, აკადემიის პრეზიდენტად გამოჩენილი ისტორიკოსის, პატრიოტის და მამულიშვილის როინ მეტრეველის არჩევამ ჩვენს გაუკუღმართებულ ოპოზიციაში სრულიად გაუგებარი ფორიაქი გამოიწვია.

**ჩემი აზრით, აუცილებელია მსგავსი პროვოკაციული მოქმედებების მასმედიის სივრციდან აკრძალვა. ამით ყორშიას მსგავსი ტყუილებისა და პროვოკაციების პათოლოგიურ მოყვარულებს თავისას ვერ მოვაშლევინებთ, მაგრამ ამგვარი უზნეო საქციელის საზოგადოებაში საჯაროდ გამომტანები ასალაგმნი რომ არიან, ცხადზე უცხადესია.**

**ასეთი სისაძაგლის დამკვეთებიც და შემსრულებლებიც უზარმაზარი ჯარიმებით უნდა ისჯებოდნენ, ტელევიზიებს კი ლიცენზია უნდა შეუჩერდეთ! სიტყვითმკვლელი უსინდისოები კანონმა და საზოგადოებამ არ უნდა დაინდოს!**



**ომარ მარგველაშვილი**

# კულტურის ნგრევის რევოლუციიდან, კულტურის გადარჩენის რევოლუციამდე...



**დიდი ამბები დაიწყო კულტურის სამინისტროში. დიდი ამბები და პირდაპირ ვიტყვი, რომ დაიწყო იმ დამყაყებული, დაბინძურებული სისტემის ნგრევა, რომელიც შემოხვეული იყო ქართულ კულტურას და მის ბოლომდე დახრჩობას ცდილობდა.**

სააკაშვილის და ამ აგრესიული ლიბერალების ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული არის ის, რომ მდაბიოთაგან ელიტის შექმნის სურვილის გამო სცადეს მოესპოთ კულტურა და განათლება.

სცადეს გაენადგურებინათ ნამდვილი ლიტერატურა, ნამდვილი კინო, ნამდვილი თეატრი, ნამდვილი მუსიკა.

რადგანაც ფიზიკურ მოსპობას ვერ ახერხებდნენ, ყველაფერ კარგს მაქსიმალურად ჩაუკეტეს პერსპექტივა, მაქსიმალურად შეავიწროვეს. ესეც განადგურების ერთ-ერთი ფორმაა.

**„ორთოდოქსული დოქტრინის პათოსმა, რომელიც სასარგებლო აღმოჩნდა ბრძოლისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით, გამოიწვია იდეისა და აზრის შემეცნებისა და ინტელექტუალური კულტურისადმი ინტერესის სრული დაკარგვა. თუკი ჩვენს დღევანდელობას შუა საუკუნეებს შევადარებთ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ჩვენს დროში ხომ იდეური შემოქმედების ნასახიც არ შეინიშნება. ამ მხრივ ჩვენი შეუწყნარებელი ეპოქა საოცრად უნიჭოდ და მდარედ გამოიყურება. ჩამკვდარია შემოქმედებითი აზრი.“**

ნიკოლაი ბერდიაევის ეს შეფასება, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებშია დაწერილი და საოცრად შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელიც საქართველოში ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამეფდა.

აგრესიულმა ლიბერასტებმა ბოლშევიკური „მუშგლეხინის“ მსგავსად შექმნეს „ცნობადი სახის“ „ინსტიტუტი“, რომელსაც თავიანთი მედიის საშუალებით მაქსიმალურად აპიარებდნენ.

საქართველოს მოსახლეობა, როგორც ყოველთვის, აქაც ორ ნაწილად გაიყო: ე.წ. „ცნობად“ და „უცნობ“ „სახეებად“, მაგრამ ე.წ. „პოლიტკორექტულობის“ გამო, საქართველოს მოსახლეობის მეორე ნაწილს ტელევიზიები ხშირ შემთხვევაში „ჩვეულებრივ ადამიანებს“, ან „რიგით მოქალაქეებს“ უწოდებენ.

აპიარებდნენ არა იმას, თუ რას ქმნიდნენ ის „ცნობადი სახეები“ (პრინციპში მათი უგემოვნო და მდაბიო „ქმნილებების“ გაპიარება ფიზიკურად შეუძლებელია), არამედ იმას, თუ რა ფერის საცვალი ეცვა ამა თუ იმ „ცნობადს“, თუ როგორ იყიდა პარიზში ფეხსაცმელი და თბილისში დაბრუნებულმა როგორ აღმოაჩინა, რომ ცალ-ცალი იყო.

**არა ნაწარმოებს, არა ფილმს, არა ნახატს.** აი ასეთ სისულელეებს ყრიდნენ ხალხში.

აგრესიულმა ლიბერალებმა მოსპეს კრიტიკა. არ ხდებოდა განხილვები, მსჯელობები. გაქრა იმ მიმართულების ბეჭდური მედია, სადაც სპეციალისტი განიხილავდა მსახიობის თამაშს, ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელობას.

ეს კი ჩანაცვლდა იმ „ყვითელი“ გადაცემებით, სადაც ხოტბას ასხამდნენ „ხელოვანებს“, მაშინ, როცა სტუმრის „ნაღვაწი“ გადაცემის წამყვანს არც წაკითხული და არც ნანახი არ ჰქონდა.

რამ გამოიწვია ეს ყველაფერი?

პასუხი მარტივია – იმან, რომ **აგრესიულ ლიბერალებს „უგემოვნობის ზეიმი“ სჭირდებოდათ ჩვენს ქვეყანაში.**

უგემოვნობის და უნიჭობის.

ამ “ზეიმის“ მთავარი მიზეზი შეფასების კრიტერიუმის ყველაზე დაბალ ნიშნულზე ჩამოვარდნაა.

ისინი უპირველესად საზოგადოების სწორედ იმ ნაწილს დაუპირისპირდნენ, ვისაც ნორმალური შეფასების უნარი აქვს და თავისი პიარ-საშუალებებით, ის ხალხი „გააცნობადა“, ვინც გემოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

ამან გამოიწვია საქართველოში ახალი, საოცარი კასტის გაჩენა, რომელსაც პირობითად „ნუვოინტელიგენცია“ შეიძლება ვუწოდოთ.

ეს „ნუვოინტელიგენტები“, თავისუფლად შეიძლება შევადაროთ გასული საუკუნის 20-იანი წლების „კომკავშირული კულტურის მედროშეებს“, რომელთათვისაც მიუღებელი იყო რევოლუციამდე შექმნილი ნებისმიერი შედევრი.

„ნუვოინტელიგენცია“ ნამდვილი ინტელიგენციისაგან, უწინარესად, იმით განსხვავდება, რომ **„ინტელიგენციას“ ჯანსაღი კრიტიკა შეუძლია, ასევე განსხვავდება იმითაც, რომ „ინტელიგენცია“ განსხვავებული აზრის მატარებელია, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ კი არ ქმნის ამ „განსხვავებულ აზრს“, პირიქით, ეს უკანასკნელი ქმნის ინტელიგენციას.**

არ შევუდგები ძალიან ღრმა წიაღსვლებს არსებული ვითარებისათვის კონკრეტული სახელის მოსაძებნად. არ შევუდგები, რადგანაც იმას, რაც ხდებოდა, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვეულებრივი „კულტურული რევოლუცია“ ეწოდება.

იხ. 7 გვ.

# რა ბედი ელით ფაშინიანს და ყარაბაღელ სომხებს?



**ცნობილია, რომ კონფლიქტების გადაჭრას დრო და შესაბამისი პირობები სჭირდება. ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაზე დიდი საერთაშორისო ძალისხმევა დაიხარჯა, თუმცა, თანხმობის მიღწევა ვერ მოხერხდა.**

დღეს კი, მხარეები, თითქოს, მზად არიან კომპრომისისთვის. მომრიგებელი ქვეყნებიც გააქტიურდნენ; ერთმანეთს ეჯიბრებიან კონფლიქტის მოგვარების საქმეში წვლილის შესატანად. ბოლო დროს, რამდენიმე სამშვიდობო მოლაპარაკება გაიმართა: ერთი, ამერიკის და მეორე, მოსკოვის ინიციატივით. ბრიუსელიც არ ჩამორჩა: შარლ მიშელის თაოსნობით, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერთა შეხვედრა შედგა. მხარეები, თითქოს მზად არიან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, პროცესს მათი საპირისპირო ხედვები აჩერებს ხოლმე. ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ, ფაშინიანმა სენსაციური განცხადება გააკეთა, რომ სომხეთი მზადაა აზერბაიჯანის ძველი საზღვრების აღიარებისთვის 86,600 კვადრატული კილომეტრის ფარგლებში, რომელიც მთიან ყარაბაღსაც მოიცავს. ამით, სოხეთის ლიდერმა დაადასტურა, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის მიწაა. განცხადებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.

ყარაბაღის სომეხმა მოსახლეობამ და სომხეთის მსოფლიო დიასპორამ ფაშინიანის განცხადება დაგმო. თავად სომხეთში, ფაშინიანის სიტყვები შედარებით მშვიდად მიიღეს. მხოლოდ ოპოზიციის ერთმა ნაწილმა გააპროტესტა. სომხეთის მოსახლეობის რეაქციამ ფაშინიანის გამონათქვამზე საერთაშორისო დონის გაკვირვება გამოიწვია. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სომხები რეალობას შეეგუენ. ასეც არის! მოსახლეობის უმრავლესობა ამას საღი თვალით უყურებს. სომხეთმა გააანალიზა, რომ რუსეთმა ყარაბაღის საკითხში უღალატა და აზერბაიჯანის მხარე დაიჭირა. ყარაბაღის ომმა, ადამიანური მსხვერპლის გარდა, მატერიალური დოვლათიც შეიწირა. სომხეთი ამ მდგომარეობაში დასუსტებულ, გაღარიბებულ ქვეყანად გვევლინება. ამიტომ, მას ულტიმატუმების თავი აღარ აქვს. სომხური მხარე, ახლა, ცდილობს წაგებულ თამაშში რამეს მაინც გამოჰკრას ხელი. ზუსტად ამ მიზანს ემსახურებოდა ფაშინიანის განცხადება. მან სთქვა, რომ სომხეთი მზად არის ყარაბაღი აღიაროს, როგორც აზერბაიჯანის ნაწილი, მაგრამ აზერბაიჯანისგან გარანტიებს ითხოვს, რომ ყარაბაღელ სომხებს არაფერი ცუდი არ დაემართებათ. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სომხეთი თანახმაა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებში აღიაროს აზერბაიჯანი, რაც, პრაქტიკულად, აზერბაიჯანისთვის ზანგეზურის დერეფნის გახსნაზე სომხეთის უარს ნიშნავს. ეს არის ტერიტორია, რომელიც ანკლავ ნახიჭევანს აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიასთან აკავშირებს სომხეთის გავლით, რაც, პერსპექტივაში, თურქეთსა და ცენტრალურ აზიასაც დააკავშირებს ერთმანეთთან. სომხეთისთვის მიუღებელია, რომ ეს დერეფანი მის ტერიტორიაზე გადიოდეს. აზერბაიჯანი სომხეთს ულტიმატუმებით ელაპარაკება.

ალიევმა მუქარით მიმართა ყარაბაღის სომეხ მოსახლეობას, აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღეთ, თუ არა და, ქვეყანა დატოვეთო. ზანგეზურზე თქვა, თუ მხარეები ვერ შეჯერდებიან, აზერბაიჯანი ძალის გამოყენებით გახსნის ზანგეზურის სადაო დერეფანსო. მოკლედ, ძალა აღმართს ხნავსო, ამაზეა ნათქვამი. სომხეთს დასავლეთის იმედია აქვს საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტაში. ერდოღანის ინაუგურაციას ფაშინიანიც დაესწრო, რისთვისაც ის მკაცრად გააკრიტიკეს სომხეთში. ახლა, უპარტნიოროდ დარჩენილი სომხეთი ყველგან ეძებს დამხმარეს. ანალიტიკოსების აზრით, კონფლიქტი გადაწყვეტისკენ კი მიდის, მაგრამ გზა ფინიშამდე, შეიძლება, გრძელი და ეკლიანი აღმოჩნდეს.



**გლობალიზაციამ წარმოება დასავლეთიდან აზიის ქვეყნებში გადაისროლა, სადაც მსხვილი ინდუსტრიული ცენტრები შეიქმნა. შედეგად, მაღალი ტექნოლოგიების წარმოების 80 პროცენტი დღეს აზიაზე მოდის. მსოფლიო ეკონომიკისთვის, უახლესი თანამედროვე ტექნოლოგია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წვდომა ენერგორესურსებზე. ადრე, ეს ცვლილება დასავლეთს დიდად არ აწუხებდა. დღეს კი, უკრაინის ომისა და ჩინურ-ამერიკული დაპირისპირების გამო, საკითხი პირველ ადგილზე გადავიდა. დასავლეთი ძველი კომპანიების უკან დაბრუნებას ცდილობს. ახალ კომპანიებს კი, დასავლეთში გადასვლის სტიმულს აძლევს. ევროპა და ამერიკა მოსწრებაზე არიან მაღალ ტექნოლოგიებსა და მწვანე ენერგეტიკაზე ორიენტირებული საინვესტიციო პაკეტების მიღებაში.**

# პატარა ტაივანი საფრანგეთს ეხმარება...

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფინანსურ-ეკონომიკური ღონისძიებები წინააღმდეგობაში მოდის ნეო-ლიბერალური თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკასთან, რაც ესოდენ პოპულარულია ევროპაში, მაგრამ დასავლეთი მიხვდა, რომ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გარეშე ვერაფერს გახდება. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობის აგრესიული ჩარევით, ნორმანდიაში, ჩრდილოეთ საფრანგეთში, მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ჰაბი შეიქმნება და, მალე, კომპიუტერული ჩიპებისა და ელექტრო-აკუმულატორების წარმოება დაიწყება. დღეს, ამ პროდუქციის მთავრი მწარმოებელია ტაივანი, რომელზეც მსოფლიო პროდუქციის 50 პროცენტი მოდის. რამდენიმე თვეა, რაც მაკრონის მთავრობა, ტაივანის კომპანიებთან, ამ თემაზე გამალებულ მოლაპარაკებებშია. ერთერთი ასეთი მცდელობის შედეგად, ცნობილი ტაივანური კომპანია ProLogium ნორმანდიაში ელექტრო-აკუმულატორების დიდ საწარმოს გახსნის. კომპანიის პრეზიდენტი პირადად შეხვდა მაკრონს და შესაბამის ხელშეკრულებასაც უკვე მოეწერა ხელი. საფრანგეთის მთავრობა ტაივანის მაღალი ტექნოლოგიების წარმოების სექტორში ერთი მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიციას განახორციელებს. შესაბამისად, ProLogium-ი ნორმანდიის ქალაქ დიუნკერკში ელექტრო-აკუმულატორების საწარმოს ააშენებს, რისთვისაც ტაივანის მხარე ხუთ მილიარდ ევროს დახარჯავს.

ამ ახალ საწარმოში, უშუალოდ, სამი ათასი ადამიანი დასაქმდება, მაგრამ გარიგება, ზოგადად, ათი-ათას სამუშაო ადგილს წარმოშობს. კომპანია ProLogium-ის წარმომადგენელმა განმარტა, თუ რატომ უნდა გაიხსნას საწარმო სწორედ საფრანგეთის ქალაქ დიუნკერკში: აკუმულატორების მთავარი კომპონენტია ლითიუმი. მსოფლიოში, დიდი კონკურენციაა ლითიუმის მოპოვებაზე, რომელიც ევროპაში საკმარისი რაოდენობით არ არის. შესაბამისად, ევროპას უჭირს აკუმულატორების წარმოება, თუმცა, საფრანგეთის კუთვნილ კუნძულოვან ტერიტორიაზე, ახალ კალედონიაში, არსებობს ამ წიაღისეულის დიდი მარაგი, რაც საფრანგეთს შესაძლებლობას აძლევს სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად აწარმოოს ელექტრო-აკუმულატორები. დიუნკერკი საფრანგეთის ერთ-ერთი უმსხვილესი საზღვაო ნავსადგურია, რაც ლოჯისტიკურ პრობლემასაც ადვილად გადაწყვეტს. გარდა ამისა, რეგიონის განვითარება მაკრონისთვის პოლიტიკურადაც მნიშვნელოვანია.

21-ე საუკუნის დასაწყისში, გლობალისტურმა ეკონომიკურმა განწყობებმა რეგიონი გააკოტრა. ბევრი საწარმო დაიხურა და გაიზარდა უმუშევრობა, რამაც, თავის მხრივ, მოსახლეობას არჩევნებში ულტრა-მემარჯვენეთა მხარდაჭერისკენ უბიძგა. მაკრონი იმედოვნებს, რომ საწარმოს გახსნით ამომრჩეველს მიიზიდავს. გვახსოვს, საპენსიო რეფორმის მიღების გამო მაკრონის რეიტინგი დაეცა. ამიტომ, საფრანგეთის პრეზიდენტს ახლა ჰაერივით სჭირდება პოზიტიური შიდაპოლიტიკური დღის წესრიგი.

მედიის აზრით, მთავრობა მხოლოდ ამ ერთი საწარმოს გახსნაზე არ გაჩერდება. განახლებადი ენერგიის მწარმოებლებისთვის უკვე გამოცხადდა 40-პროცენტიანი საგადასახადო შეღავათი. ასეთი შეღავათი იგეგმება მათთვისაც, ვინც მომავალში ელექტროავტომობილს მოიხმარს.

# განადგურდეს 200 000 სული... ძროხა!

## 7 მილიონი ირლანდიური პირუტყვი თურმე ევროპის ჰაერს „აფუჭებს“!..



**ეგრეთწოდებული მწვანე-ლიბერალური პოლიტიკა, ევროპაში უკვე, უცნაურ ფორმებს იღებს. ირლანდიის მთავრობა 200,000 სული ძროხის გაწყვეტას აპირებს, და ეს სითბური ეფექტის მიზეზით ხდება, რომელიც გლობალურ დათბობას იწვევს. მოგეხსენებათ, ატმოსფეროს დათბობა ნახშირბადისა და მეთანის გაზების ჭარბი გამოყოფის შედეგად, ყველაზე მეტად, ავტომობილებისა და ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვის გამო ხდება, თუმცა, მეცნიერულად მტკიცდება, რომ გაზების გამოყოფა ბუნებრივადაც ხდება.**

მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანთა ნაწლავური დუღილიდან, ჰაერში მეთანი გამოიყოფა. ირლანდია განვითარებული მეცხოველეობის ქვეყანაა, სადაც 135 ათასი ფერმაა 7 მილიონი სული ძროხით. ირლანდიელები ამაყობენ ამით. ირლანდიური საქონლის ხორცი და რძე საუკეთესოა ევროპაში. პროდუქციის 90 პროცენტი ექსპორტზე გადის, მაგრამ ახლა, ამ დიდ საქმეს ნაკლი უპოვეს. ირლანდია ევროპაში ლიდერია ნახშირბადისა და მეთანის გაზების ატმოსფეროში გამოყოფის თვალსაზრისით. მთავარი დამნაშავე, ცხადია, ავტომობილები და ინდუსტრიაა. ბრიუსელი ირლანდიის მთავრობას ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებას სთხოვს. მთავრობამაც, დაბალი ღობე უცბად მონახა, და ირლანდიელ ფერმერებს 200,000 სული ძროხის დაკვლისკენ მოუწოდა, რამაც ფერმერთა პროტესტი გამოიწვია. ამბავი მსოფლიოს მოედო უმალ. ხალხი გაოგნებულია ირლანდიის მთავრობის გადაწყვეტილებით. ილონ მასკმა ტვიტერზე დაწერა, რომ კლიმატის დაცვის სახელით ცხოველებისა და ადამიანების სიცოცხლის მოსპობის სურვილი ბოროტებაა. ძროხების გაწყვეტა კლიმატს ვერ უშველისო! ამ ამბავს ამერიკისა და ინგლისის მასმედიაც გამოეხმაურა, ევროკავშირი თავისი ლიბერალური დღის წესრიგით ჭკუიდან გადადგაო. კლიმატის დასაცავად, ევროპაში ვეგეტარიანელობა შემოვიდა მოდაში. ევროპელი ეკო-აქტივისტები ხმამაღლა გაჰყვირიან, ხორცის და რძის ნაწარმის შემცვლელი, ანუ გენმოდიფიცირებული, პროდუქტებით იკვებეთო. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ ასეთი პროდუქტი მავნეა ჯანმრთელობისთვის!..



**ნუგზარ ზ. რუხაძე**

POSTV

# „ვაგნერმა“ კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა



კერძო რუსული სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დამფუძნებლის, ევგენი პრიგოჟინის თქმით, „ვაგნერი“ არ გააფორმებს კონტრაქტს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან.

**„როდესაც პირველად ჩავერთეთ ამ ომში, არავის უთქვამს, რომ ჩვენ ვალდებულები ვიქნებოდით, შეთანხმებებისთვის ხელი მოგვეწერა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან. „ვაგნერის“ არც ერთი მებრძოლი არ არის მზად, ამ სირცხვილის გზაზე კიდევ ერთხელ გაიაროს. სწორედ ამიტომ, არც ერთი მათგანი არ მოაწერს ხელს ამ კონტრაქტს“,** – აღნიშნა პრიგოჟინმა. ამასთან, პრიგოჟინმა დასძინა, რომ იმედოვნებს, მოიძებნება „კომპრომისული გამოსავალი“ პუტინსა და პარლამენტს შორის, რათა „ვაგნერის“ მებრძოლებს მიეცეთ სოციალური გარანტიები და მებრძოლის სტატუსი. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ რუსეთის მოხალისეთა ყველა ფორმირებას უბრძანა პირველ ივლისამდე კონტრაქტის გაფორმება სამინისტროსთან „უკრაინის ომში მათი გამოყენების ეფექტურობის გაზრდის მიზნით“. ვლადიმერ პუტინმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა და აღნიშნა, რომ შეთანხმება საჭიროა.

# ბელარუსები რუსებისთვის ზურგში სროლას არ დაუშვებენ...

ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა. ბელარუსის პრეზიდენტის თქმით, რუსეთის ხელმძღვანელობას, მათ შორის ვლადიმერ პუტინს, არასოდეს მოუთხოვია ბელარუსის ბრძოლაში მონაწილეობა.



**„ჩვენ გვაქვს შეთანხმება რუსეთის ფედერაციასთან, რომლის მიხედვითაც, რეალურად, ერთი ჯარი გვყავს. ვილანძღებოდით, ვჩხუბობდით ყველა მიმართულებით, მაგრამ შეიარაღებული ძალები ერთიანი დარჩა. ყველაფერს, რაც გეგმით არის გათვალისწინებული – და გეგმა არ არის საიდუმლო, ჩვენ დასავლეთს ვუთხარით ამის შესახებ – ვიცავთ და ვასრულებთ“,** – განაცხადა ალექსანდრ ლუკაშენკომ.



ალავერდის მონასტერი

## გიორგი ლალიაშვილი:

# ეკლესიაზე თავდასხმა, რომელიც ძეგლებზე მზრუნველობით იფუთება

(პირველი გვერდიდან)

ისე, ვიდრე გადაცემის ძირითადი თემატიკის განხილვაზე გადავიდოდნენ წამყვანები, დათო ტურაშვილმა მოგვითხრო ჟინვალის წყალსაცავის მშენებლობისა და მასში ჩაძირული ქალაქის შესახებ. აქვე იყო საუბარი სიონის ბაზილიკაზე, რომელიც ახალმშენებლობის დროს, მისი განადგურების თავიდან აცილების მიზნით, გასული საუკუნის 60-იან წლებში სპეციალისტებმა თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადმოიტანეს. და აი, აქ თავისი კურიოზული განცხადებებით ჩნდება პიროვნება, ვინმე ცირა ელისაშვილი, რომელიც, მოგვიანებით, ამ სიუჟეტისა და წინამდებარე წერილის მთავარი გმირი გახდება. მოკლედ, ელისაშვილი (რომელიც ხელოვნებათმცოდნე ყოფილა) სიონის ბაზილიკას ახასიათებს „გუმბათოვან ეკლესიად“ (?!) და ამბობს, რომ ის კი უნდა მოეცილებინათ ახალმშენებლობის ზონისათვის, მაგრამ იმავე ხეობაში უნდა დარჩენილიყო, რადგან თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისი ადგილი არ არისო. ანუ, ძეგლი ავთენტურია მხოლოდ ივრის ხეობისათვის და ის თბილისში არ უნდა იდგესო. უცნაური ლოგიკაა... აღნიშნულ მუზეუმში თავმოყრილია ეთნოგრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპონატები მთელი საქართველოდან. თუ ელისაშვილის ლოგიკას გავყვებით, თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში არ უნდა იდგეს არც მეგრული ოდა, არც დოლმენი აფხაზეთიდან და სხვა.

მინდა, შევახსენო მკითხველს, რომ, ზოგადად, მუზეუმი არის სივრცე, სადაც სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის არტეფაქტები (ბუნებრივია, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალიდან) იყრის თავს. ნებისმიერი მუზეუმისთვის შეუძლებელია რომელიმე ექსპონატი „ავთენტური“ იყოს. მინდა ვკითხო ც. ელისაშვილს: ბრიტანეთის მუზეუმის ეგვიპტური კოლექცია ავთენტურია ევროპისათვის? დავანებოთ ამას თავი, და ამ წერილის მთავარ თემატიკაზე გადავიდეთ. სიუჟეტის ავტორი (ზემოთ ხსენებული ც. ელისაშვილი) თავად მოგზაურობს კახეთში, მოივლის რამდენიმე მონასტერს, შესავალში მოკლედ მიმოიხილავს მათ ისტორიას და შემდეგ გვაცნობს თავის შეხედულებებს, თუ რა „საშინელ“ მდგომარეობაშია ეს ძეგლები. მოდით, გავყვეთ ავტორს სამოგზაუროდ.

## ალავერდის მონასტერი

**ვიწყებთ ალავერდის მონასტრით. სიუჟეტის პირველი კადრია ნისლიანი ხეობა (როგორც მივხვდი, კვეტერის ციხის გადასახედიდან უნდა იყოს აღებული ეს კადრი) და სუბტიტრი: „ნისლიანი მემკვიდრეობა“. ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგებია: მაყურებელში უნდა შეიქმნას უიმედო, აპათიური განწყობა.**

ავტორის პირველი, საყვედურნარევი განცხადება შეეხება იმას, რომ არ არსებობს საქართველოდან იუნესკოში ნომინირებული ძეგლების მართვის გეგმა, რომელიც ხსენებულ ორგანიზაციასთან უნდა იყოს შეთანხმებული და ამ გეგმის მიხედვით უნდა ხდებოდეს ძეგლებზე სამუშაოები. ანუ, მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ ნუსხაში წარდგენილ ძეგლზე არანაირი სამუშაო არ უნდა განვახორციელოთ, თუ ეს არ შევათანხმეთ იუნესკოსთან. ამავე გადაცემიდან ვიგებთ, რომ ნომინაციაზე წარდგენილი ქართული ძეგლები, 20 (!) წელია ელოდებიან პასუხს. აქვე ავტორი გვამცნობს, რომ ნებისმიერი, თუნდაც ძეგლისთვის სასიკეთო სამუშაო, იუნესკოსთან უნდა იყოს შეთანხმებული. თან წუხს, თუ ასე არ მოვიქცევით, ჩვენი ძეგლები მათ საცდელ ნუსხაში (იმ ნუსხაში, საიდანაც პასუხს 20 წელია ველით!) ვერ მოხვდებიანო და ეს ლამის ტრაგედიად მიაჩნია. ავტორს მინდა ვუთხრა, რომ ალავერდი არსებობდა იუნესკომდეც და იარსებებს მის შემდეგაც და სულაც არაა ტრაგედია, თუ რომელიღაც ორგანიზაციის რომელიღაც სიაში არ იქნება (იქნებ, პირიქით, უკეთესიც იყოს). ეს ორგანიზაციები თუ ნუსხები იქმნებიან და იშლებიან, ალავერდი კი რჩება... გარდა ამისა, რა უბედურებაა ჩვენი ყველა ნაბიჯის (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ მხოლოდ ძეგლთა დაცვის სფეროს) უცხოელ პარტნიორებთან (თუ პატრონებთან) შეთანხმება, **რა მონური იდეოლოგია გასაზრდოებთ, ვინ მოგწამლათ ასე? რა გამოდის: არ ვიცით, იუნესკოს ძეგლი შეაქვს თუ არა ნუსხაში, პასუხიც არ გვაქვს და მაინც მინიმუმ 20 წლის განმავლობაში მას ხელი არ უნდა ვახლოთ, თუნდაც ინგრეოდეს (?!)**. აქ პატარა გადახვევა მინდა გავაკეთო: მკითხველო, ეს ხომ არ გაგონებს ნაცნობ სიტუაციას სხვა ასპექტში, როდესაც სხვადასხვა ორგანიზაციაში გაწევრბის მრავალწლიანი მცდელობით ამ ორგანიზაციების წინაშე მხოლოდ კაბალურ ვალდებულებებს ვიღებთ არაფრის სანაცვლოდ? ისიც ცალკე მსჯელობის საგანია, იუნესკოს საცდელ ნუსხაში შეტანა რა სარგებელს („სარგებელში“ ამჟამად ვგულისხმობ მხოლოდ მათ დაცვა-შენარჩუნებას) მოუტანს ჩვენს ძეგლებს. ავტორის ლოგიკით გამოდის, რომ 20 წლის განმავლობაში ალავერდში არაფერი უნდა გაკეთებულიყო. აღსანიშნავია, რომ მონოლოგის ეს ნაწილი ჩაწერილია ტაძრის ეზოში გამოფენილი იმ ბანერების ფონზე, სადაც ასახულია, თუ რა მდგომარეობაში იყო ალავერდი იმავე 20 წლის წინ და რა მდგომარეობაა ახლა... რას ვიზამთ, ქართული ანდაზის არ იყოს: „თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ ხედავს“...

ავტორის შემდეგი საყვედური ეხება ტაძრის დასავლეთით დალაგებულ საფლავის ქვებს. აქაც ქართული ანდაზა მახსენდება: „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. მკითხველისთვის ნათელი რომ გავხადო, თუ რაზეა საუბარი, მოკლედ მოვუთხრობ ამ ქვების ისტორიას:

ტაძრიდან დასავლეთით, 20-30 მეტრის დაშორებით გამოყოფილია სპეციალური ადგილი, სადაც XIX საუკუნის 60-მდე საფლავის ქვაა დალაგებული. ეს ქვები ათწლეულების მანძილზე ტაძრის ეზოში იყო გაფანტული, ბალახითა და ხავსით დაფარული. ალავერდში სხვადასხვა დროს წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი ადგილნაცვალი იყო, ანუ ეკუთვნოდა უკვე დაკარგულ საფლავებს და ქვების ქვეშ ნეშტები არ დასტურდებოდა. იმისათვის, რომ საფლავის ქვები საბოლოოდ არ დაკარგულიყო, ისინი შეიკრიბა, დალაგდა სპეციალურად გამოყოფილ, თვალსაჩინო ადგილზე. მოხდა თითოეული მათგანის აღწერა, ეპიტაფიების ტექსტების გადმოღება. იმის გამო, რომ საფლავის ქვების უდიდესი ნაწილი გამოქარულია, შეუიარაღებელი თვალით მათზე ეპიტაფიის გარჩევა ჭირს. ამიტომ, მომზადდა ეპიტაფიებისა და ქვებზე არსებული ჩუქურთმების გრაფიკული ასლები. ეპიტაფიათაგან ბევრი ხალხური პოეზიის, ხოლო ჩუქურთმები – ხელოვნების ნიმუშია; თავად ეპიტაფიები კი მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა კახეთის გვართა გენეალოგიის საკვლევად. გრაფიკული ასლების მომზადებით ისინი გადაურჩნენ უკვალოდ გაქრობას. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე, რომელიც სასულიერო პირს ეკუთვნოდა, ამოვიკითხეთ ძალიან ღრმა შინაარსის მქონე პატარა ლექსი, რომელსაც, ვფიქრობ, ნებისმიერი დიდი პოეტი მოაწერდა ხელს:

**„ცის მაგიერ მფარავს მიწა,**
**ვმადლობ მასა, ვინც მამიწა**
**წარმკითხველნო გთხოვთ, ვედრებით,**
**ღირს მყოთ თქვენგან მოხსენებით**
**იცით, მეც ვიყავი თქვენებრ,**
**ერთ დროს თქვენც იქნებით ჩემებრ“.**

ეპიტაფიებზე ამოკითხული გვარ-სახელების იდენტიფიკაციის მიზნით, თელავის უნივერსიტეტის აწ გარდაცვლილი პროფესორი თეიმურაზ ვახტანგიშვილი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა ცენტრალურ საისტორიო არქივში. უზარმაზარი საარქივო მასალა დამუშავდა ამ საფლავების პატრონებისა და ზოგადად, ალავერდის მონასტრის ეზოში დაკრძალულ პირთა ვინაობის მოძიებისთვის. მთელი ეს მასალა, დაწყებული ეპიტაფიების გრაფიკული ასლებით, დამთავრებული საარქივო მონაცემებით, ცალკე კატალოგად გამოიცა („ალავერდის ნეკროპოლის წარწერები“, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2020 წ.) და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს.

ამრიგად, **საფლავის ქვების მოწესრიგება, კვლევა, პატრონების იდენტიფიკაცია და მოხსენიება სიუჟეტში ვანდალიზმად არის წარმოჩენილი, ხოლო მათი ტერიტორიაზე გაფანტვა (თანაც, როგორც ვთქვი, ეს ქვები დაკარგულ საფლავებს ეკუთვნოდა და მათ ქვეშ ნეშტი არ დასტურდებოდა), ბალახითა და ბუჩქნარით დაფარვა და, საბოლოოდ, უკვალოდ გაქრობა – ავთენტური სახის შენარჩუნებად. აქ, ვფიქრობ, მეტი კომენტარი ზედმეტია...**

## ახალი შუამთის მონასტერი

**შემდეგი „გაჩერებაა“ ახალი შუამთის დედათა მონასტერი. აქ პირველი პროტესტი ავტორს უჩნდება ტაძრის აღდგენილ სტოასთან დაკავშირებით. იგი აცხადებს: „ადრე ტაძრის შესასვლელთან უკანონო ფარდული იდგა, ახლა კი ეს მინაშენი დამხვდა“ (ხაზგასმა ყველგან ჩემია – გ.ლ.). ისე, სანამ ავტორის ამ ციტატას განვიხილავდე, ცნობისთვის, მკითხველმა რომ იცოდეს, 2019-2022 წლებში ახალი შუამთის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარს ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია: აღდგა ხსენებული სტოა, გაიწმინდა და გამაგრდა ფრესკები, მოიგო ახალი იატაკი, შეიცვალა სახურავი. ყველა ეს სამუშაო ეფუძნებოდა შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით მომზადებულ პროექტს, რომელიც დაამტკიცა კულტურული მემკვიდრეობის საბჭომ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული იქნა სამუშაოების წარმოების ნებართვა.**

ახლა განვიხილოთ საკითხი, რას წარმოადგენს ავტორისეული „უკანონო ფარდული“ და „მინაშენი“? ზემოთ ხსენებული რესტავრაციის პროცესში, ტაძრის დასავლეთ ფასადთან მოწყობილი იყო ხის მსუბუქი კონსტრუქციის დროებითი გადახურვა – ის ტაძრის შესასვლელსა და ფასადს იცავდა ნალექებისგან, რესტავრაციის დასრულების შემდეგ კი აიღეს. სარესტავრაციო და კვლევითი სამუშაოების პროცესში, მსგავსი დროებითი საკონსერვაციო გადახურვების მოწყობა, ჩვეულებრივ, მიღებული პრაქტიკაა. ეს ყველამ იცის, ვისაც კი შეხება ჰქონია ამ სფეროსთან და, წესით, სიუჟეტის ავტორმაც უნდა იცოდეს.



ახალი შუამთის მონასტერი

მისი „უკანონო ფარდულად“ მოხსენება საკითხში ნაკლებად გათვითცნობიერებული მაყურებლის მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანას ემსახურება. მით უფრო, რომ ის ვერ იქნებოდა უკანონო, რადგან ამ სამუშაოებზე შესაბამისი ნებართვა იყო გაცემული. ასე, რომ სიუჟეტის პირველივე წუთებში ავტორი მაყურებელს უბრალოდ ატყუებს.

რაც შეეხება ც. ელისაშვილის პროტესტის ობიექტს – სტოას (ტაძრის სამმხრივი გარსშემოსავლელი) – XIX საუკუნის შუა ხანებამდე იყო შემორჩენილი. მას აღწერს ყველა მკვლევარ-მოგზაური, ვისაც კი იმ დროს შუამთა მოუნახულებია: ალექსეი მურავიოვი, მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი და სხვ. იმავე ხანებში ტოპოგრაფმა მუსლოვმა შეასრულა მისი ნახაზიც. დასახელებული მასალებიდან ჩანს, რომ იმ დროსვე სტოა ძლიერ დაზიანებული ყოფილა, ხოლო 1855-1860 წლებში საერთოდ მოუშლიათ. ტაძრის სრული მხატვრული გააზრებისთვის ეს სტოა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ აკად. გიორგი ჩუბინაშვილმა თავის ცნობილ ნაშრომში – „Архитектура Кахети“ – მუსლოვის ნახაზებზე დაყრდნობით მოახდინა მისი გრაფიკული რეკონსტრუქცია (გეგმის დონეზე) და ტაძართან ერთ მთლიანობაში განიხილა. აკად. გიორგი ჩუბინაშვილის დროს სტოა უკვე მიწის პირამდე იყო დანგრეული. თუმცა, ახალი შუამთის არქიტექტურის ყველა მკვლევარი ტაძრის მთლიანი მხატვრულ-სტილისტური გააზრებისთვის მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. აი, რას წერს ქართული ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი ცნობილი მკვლევარი, აკად. **ვახტანგ ბერიძე:** „სტოა ერთ მთლიან საფეხურს შეადგენდა ეკლესიის გარშემო, უფრო დასრულებულსა და მონუმენტურ იერს ანიჭებდა მთელ ნაგებობას და, იმავე დროს, აწონასწორებდა მის შვეულ აზიდულობას“. ამრიგად, ტაძრის სრული გეგმის გააზრებისა და სივრცული აღქმისათვის სტოას გათვალისწინება აუცილებელი იყო XX საუკუნის მკვლევარებისთვის და ვინაიდან ის იმ ხანებისათვის დანგრეული იყო, ამას მხოლოდ მუსლოვის ნახაზების მოშველიებით ახერხებდნენ. მადლობა ღმერთს, სტოა ახლა უკვე სრულად აღდგენილია იმავე ნახაზების მიხედვით.

ტაძრის სტოას ისტორიის ეს მოკლე მიმოხილვა იმისთვის დამჭირდა, რომ სიუჟეტში ც. ელისაშვილი აშკარად უკმაყოფილოა მისი აღდგენით და აცხადებს: „ეკლესია მინაშენის (იგულისხმება სტოა – გ.ლ.) აღდგენას იმით ამართლებს, რომ თურმე ადრე აქ ეს ნაგებობა იდგაო“. ფრაზა: „ეკლესია აღდგენას იმით ამართლებს“ ამ შემთხვევაში შეუსაბამოა. **თავის გასამართლებელი ეკლესიას არაფერი აქვს, რადგან სტოას აღდგენა რომელიმე სასულიერო პირის ახირება კი არა, ტაძრის თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახის აღდგენისაკენ გადადგმული ნაბიჯია და ავტორი ამას თუ ვერ აანალიზებს, მის დიდ კოლეგებს, აკად. გიორგი ჩუბინაშვილს და ვახტანგ ბერიძეს მაინც დაუჯეროს.**

ჩემს ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ავტორი სიუჟეტში სტოას ყველგან „მინაშენად“ იხსენიებს. შეუძლებელია ხელოვნებათმცოდნემ არ იცოდეს, რომ ტერმინ მინაშენს სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. სტოას ამგვარად მოხსენებით მაყურებელში იბადება აღქმა, რომ ტაძარს რაღაც მიაშენეს უკანონოდ. ეს კი ეხმიანება სიუჟეტის სათაურის პათოსს – ესეც შენი „მიშენება-დაშენება“.

ც. ელისაშვილის შემდეგ შენიშვნას იწვევს გალავანი, რომელიც ტაძრის ეზოსა და სენაკებს ერთმანეთისაგან ჰყოფს. მისი აზრით, ის „აკნინებს“ ტაძარს და აუარესებს მის აღქმას. XIX საუკუნის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ტაძარს ირგვლივ გალავანი აკრავდა. ის, რა თქმა უნდა, არა აღნიშნული პერიოდის, არამედ უფრო ადრეული იქნებოდა; იმ დროის, როდესაც ჟამთა სიავის გამო კახეთში ყველას, ერსა თუ ბერს გამუდმებით უწევდა მომხვდურთან ბრძოლა. ეს გალავანი XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩანს განადგურებული, რადგან ამ დროიდან მასზე აღარც წერილობით წყაროებში იძებნება ცნობა და არც ფოტო საარქივო მასალებში ჩანს. მისი მცირე ნაშთები კი დღემდეა შემორჩენილი. საერთოდ, ახალი შუამთის აღქმა თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევრის სიტუაციის მიხედვით, როდესაც აღარ არსებობდა სტოა, ეკლესიის გალავანი და სხვა სამონასტრო ინფრასტრუქტურა, ხოლო გარემოს დომინანტს წარმოადგენდა შვეულად აზიდული ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (სტოას დანგრევამ და გალავნის მოშლამ მის ვერტიკალობას კიდევ უფრო გაუსვა ხაზი). თუმცა, არსებობს შუამთის მონასტრის 1881 წლის ფოტო, გადაღებული ბელგიელი მოგზაური ქალის, კარლა სერენას მიერ. ამ ფოტოს მიხედვით შუამთის მონასტრის ნახატი შექმნა მხატვარმა ტაილორმა. ამ მასალებში არ ჩანს ტაძრის უპირობო დომინირება. აქ ვხედავთ გალავანს, სამრეკლოს, საწინამძღვრო სახლსა და სხვადასხვა სამონასტრო ნაგებობას, რომლებიც ირგვლივ აკრავს ტაძარს. ანუ, **როდესაც მონასტერი მოქმედია, მას თავისი ინფრასტრუქტურა სჭირდება. და რა ვქნათ ახლა, ც. ელისაშვილმა რომ კარგად აღიქვას ტაძარი, დავუბრუნოთ ის XX საუკუნის მდგომარეობას: დავანგრიოთ სტოა, მოვშალოთ გალავანი, სამონასტრო ინფრასტრუქტურა და იქ წვენების ქარხანა გავხსნათ (დიახ, ერთ დროს იქ წვენების ქარხანა ფუნქციონირებდა)?!**

გამიკვირდა, ავტორმა რატომ არაფერი თქვა ტაძრის ახალ სახურავზე (2022 წელს გადაიხურა სპილენძით). მაგრამ, მალევე ჩემს გულუბრყვილობაზე გამეცინა და აი, რატომ: **XIX საუკუნიდან მოყოლებული, არაერთ დოკუმენტშია საუბარი ტაძარში წყლის ჩადინებაზე. შეიძლება ითქვას, ეს ახალი შუამთის ასწლოვანი პრობლემა იყო, რომელიც ახლა აღმოიფხვრა. და მონასტერში მისულმა ადამიანმა, ვისი მიზანიც არის სიტუაციის ისე წარმოჩენა, თითქოს ნადგურდება და პარტახდება ძეგლი, სასიკეთო საქმეზე რატომ უნდა დაძრას სიტყვა? ეს არა მხოლოდ ავტორის, ზოგადად, ქართული „ჟურნალისტიკის“ პრობლემაა.**

(დასასრული მომდევნო ნომერში)

(მეოთხე გვერდიდან) დიახ, სწორედაც, რომ „კულტურული რევოლუცია“, რადგანაც ის ძალიან ჰგავდა მსგავს „რევოლუციებს“. იმ რევოლუციებს, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში ხდებოდა.

ჰგავდა იმ „კულტურულ რევოლუციას“, რომელსაც უნიჭო მომღერალი ნერონი „აკეთებდა“ ძველ რომში (სხვადასხვა პოლიტიკური, თუ სასცენო სპექტაკლებით დაწყებული, ძველი რომის გადაწვით დამთავრებული).

ჰგავდა საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდს.

**ჰგავდა იმ „მწარე ბოლშევიკების“ „კულტურულ რევოლუციას“, რომლებიც მოსკოვი-ლენინგრადის რკინიგზის აყრას და ხელახლა დაგებას აპირებდნენ, რადგანაც ის მეფის დაგებული იყო.**

**და განსაკუთრებით ჰგავდა იმ „კულტურულ რევოლუციას“, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1966 წელს მათმა დიდმა ბელადმა მაო ძე დუნმა დაიწყო და რომელიც 1976 წლამდე გაგრძელდა.**

ნამდვილად არ არის საჭირო „კულტურული რევოლუციების“ მიმდინარეობისა და მათი შედეგების აღწერა.

არ ვილაპარაკებ იმ გზებზე, თუ როგორ ახერხებდნენ ისინი საკუთარი თავის მორიგ „“კერპად“ გამოცხადებას (პრინციპში, მოკლედ რომ ვთქვა, ასეთი ავანტიურისტების „გაფეტიშების“ საქმეში ხელისუფლებას ან კლანურ პროტექციას უდევს ლომის წილი).

არ ვილაპარაკებ, რადგანაც დიდი ცვლილებების დროს ასეთი „ყალბი კერპები“ ფაქტობრივად არ „იმსხვრევიან“. ისინი თავიანთი კონფორმიზმისა და ლავირების შინაგანი უნარის წყალობით, ნებისმიერი სიტუაციიდან ახერხებენ გამოსვლას და „ზედაპირზე რჩებიან“.

**ბუნებრივია, რომ ახალ ხელისუფლებას ნამდვილი კერპების მსხვრევის დროს აუცილებლად სჭირდება კონფორმისტი ცნობადი არსებები, რომლებსაც ახალი „კერპების“ შექმნაში საკმაოდ დიდი როლი ეკისრებათ. პრინციპში მათი ყოფნა ქართული კულტურის კაბადონზე საზოგადოებისგან ცუდად შეიძლება იყოს აღქმული, მაგრამ უნდა გაუძლონ. უნდა გაუძლონ, რადგანაც მოსახლეობაში ისინი უკვე „არსებობენ“ და იმედი ვიქონიოთ, რომ ნელ-ნელა გაქრებიან.**

პრინციპში აქ შეიძლება მე გამოვდიოდე „კულტურული რევოლუციონერის“ როლში, მაგრამ მე მშვიდობის მოყვარე ადამიანი ვარ და ყოველგვარი რევოლუციები ჩემთვის მიუღებელია, ამიტომ, იმ აგრესიულ ლიბერალებს პირდაპირ ვეტყვი: – კი ბატონო, თქვენ ამ ახალი მოდერნით დატკბით, მე კიდევ დასავლური ცხოვრებისთვის მიუღებელი, ძველი სპექტაკლების და ფილმების ნახვით დავითხრი თვალებს.

ლიბერასტებმა „დაბნეული თხუნელა“ დაიზეპირონ, მე კი რუსი დოსტოევსკით და ტოლსტოით გადავიღლები.

გავაგრძელო? მგონი არ ღირს.

„სეპარატისტული ლიბერალიზმის იდეოლოგია“, ანუ ის „იდეები“, რაც „ფანატიკოსებმა“ საქართველოში შემოიტანეს, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ქართულ მენტალიტეტს და, რაც მთავარია, ეწინააღმდეგება იმ ქართულ კულტურას, რომელიც მიუხედავად თავისი ტრადიციულობისა და კონსერვატულობისა, საკმაოდ სწრაფად ვითარდება, საკმაოდ სწრაფად ითვისებს ყოველგვარ პროგრესულს, შედეგიანად ტრანსფორმირდება და ხშირ შემთხვევაში თავად ხდება ახალი იდეის შემოქმედი.

სწორედ ამიტომ იყო აუცილებელი რეფორმების შოკური თერაპიის „სტილში“ განხორციელება. სწორედ ამიტომ იყო საჭირო სიჩქარე, რომელიც დღესაც




# კულტურის ნგრევის რევოლუციიდან, კულტურის გადარჩენის რევოლუციამდე...

იმ რეჟიმული კულტურის დანგრევის დროსაც აუცილებელია.

დიახ, აუცილებელია, რადგანაც კულტურის რეფორმირების პროცესის დროში გაწელვა უდავოდ მომგებიანია სეპარატისტული ლიბერალიზმის დამკვიდრების მსურველთათვის.

მომგებიანია, რადგანაც დროში გაწელილი ნორმალური და რეალური ლიბერალური იდეოლოგია, აგრესიულ ლიბერალიზმთან ნებისმიერ შემთხვევაში დამარცხდება.

**„სწორედ ამიტომ ჩქარობენ ჩვენი ფანატიკოსები შოკური რეფორმების მეშვეობით, საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელებას.**

**„ფანატიკოსს მუდმივად მტრის ხატი ესაჭიროება. მას სულ ვიღაც ჰყავს დასასჯელი. ფანატიზმი ყოველთვის გულისხმობს სოციალურ ძალდატანებას. უკიდურესი ორთოდოქსული ფანატიზმი სექტანტურ ხასიათს იძენს. რჩეულთა წრისადმი მიკუთვნებულობა და ამით მოგვრილი კმაყოფილება სწორედ სექტანტური გრძნობა. ფანატიზმი ნებისყოფას აწრთობს და ისეთ მებრძოლ სულს აყალიბებს, რომელიც მზადაა სხვებიც აწამოს და საკუთარი წამებაც აიტანოს. თვით ყველაზე რბილ და უწყინარ ფანატიკოსსაც კი, რომელიც თავს კაცთმოყვარედ თვლის და საზოგადოების გადარჩენაზე ზრუნავს, მოეძებნება სადიზმის ელემენტები“ (ნ. ბერდიაევი).**

**ეს „ჩვენი“ ფანატიკოს-ლიბერალები არ ცნობენ კრიტიკას და იდეურ კამათს. არ ცნობენ იდეათა ბრძოლას. მათ მხოლოდ მხილება, განკვეთა და სასჯელი იციან. სხვაგვარად მოაზროვნე დამნაშავედ აღიქმება. დამნაშავესთან კი არ კამათობენ.**

**და ამისთვის მარტივი ფრაზა მოიფიქრეს – რუსულია!**

**რუსულია და მორჩა!!!**

**სწორედ ამიტომ არ კამათობენ, რადგანაც კამათი უკვე შემწყნარებლობაა.**

**ყველაზე მძვინვარე მოკამათეც კი შემწყნარებელი ადამიანია, რადგანაც იგი უშვებს განსხვავებული იდეის არსებობას.**

რაც შეეხება სახელმწიფოს და მით უმეტეს ისეთი მწირი შესაძლებლობების სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა, პრიორიტეტი რომელიმე კომისიის წევრის გემოვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მკვეთრად უნდა იყოს განსაზღვრული საზოგადოების ინტერესი და, რაც მთავარია, ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული შედეგის მოლოდინი.

ვერანაირად ვერ მივიღებ ვინმე თეო ხატიაშვილის, ან ლაშა ბუღაძის გემოვნების შესაფერის კულტურულ პროდუქტს. ვერ მივიღებ, რადგან ისინი ჩვეულებრივი მდაბიო გონების ადამიანები არიან.

**კი ბატონო, იყო რაღაც კონკურსები სხვადასხვა ფილმის, ლიტერატურული ნაწარმოების, ან გამოფენის დაფინანსებაზე, მაგრამ ჟიურიში ის ტიპები ისხდნენ, რომლებიც დაფინანსებაზე რობაქიძეს და ფელინის უარს ეტყოდნენ და „ეროვნულ ბოზებს“ აფინანსებდნენ.**

**საბედნიეროდ, ქართული კულტურის მოკვლა ბოლომდე ვერ მოახერხეს. მაგათი რეჟიმის ხელში კი არა, „ანა ფრანკის დღიური“ ნიდერლანდების ფაშისტური ოკუპაციის წლებში დაიწერა.**

**ჭყლოპინებენ, რაღაცეებს როშავენ და თუ ვინმეს ჰგონია, რომ გული შეტკივათ ქართულ კულტურაზე, ახალ ინოვაციებზე, ძალიან ცდება. მათ ის აწუხებთ, სათქვლეფი რომ დაკარგეს და ძალიანაც კარგი, რომ დაკარგეს.**

**კომუნისტების დროს ისხდნენ ცენზორები, რომლებიც თავიანთ „კომპეტენტურ აზრს“ ახვევდნენ ხელოვნებას. დღეს ისინი აღარავის ახსოვს.**

**ის ნაწარმოებები კი, რომლებიც იქმნებოდა, დღეს ყველასთვის ხელმისაწვდომია. აგრესიული ლიბერალების ბოგინის დროს დამზადებული უხარისხო „ნაწარმოებები“ ყველას დაავიწყდება, თუმცა რა დაავიწყდება, რაც არავინ არ იცოდა.**



**აი, ზაზა ურუშაძის ფილმები კი ხალხმა შეიყვარა და მუდამ დარჩება.**

**გია გაბრიჭიძე**

# საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+490 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობა

**ქვეყანა:** საქართველო
**შემსყიდველი:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
**დაფინანსების წყარო:** საქართველოს მთავრობა
**კონტრაქტის დასახელება:** საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა - გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+490 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობის
**სატენდერო მოწვევა:** GOG/CW/RFB-02
**გამოცხადების თარიღი:** 13 ივნისი, 2023

1. საქართველოს მთავრობამ გამოყო თანხა **საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა - გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+490 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობის** დაფინანსების მიზნით.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კომპანიებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით. სამუშაოების შესრულების პერიოდი მოიცავს **30 თვეს,** ხოლო დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდია **730 დღე**. პროექტის მიზანია სტეფანწმინდა-გველეთის გზის 4,5 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა. საპროექტო გზის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებია: საპროექტო სიჩქარე - 60 კმ/სთ; მიწის ვაკისის სიგანე – 14,0 მ; სავალი ნაწილის სიგანე – 7,0 მ; მოძრაობის ზოლების რაოდენობა – 2; სავალი ნაწილის დახრილობა – 2,5%; პროექტი მოიცავს: ხიდი სიგრძით 2020 მ, გვირაბი 460 მ სიგრძით, ღია გადასასვლელი 275 მ, რომელიც კვლავ უკავშირდება 846 მ სიგრძის გვირაბსა და 636 მ სიგრძის ხიდს.

3. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური სულ მცირე **9,500,000.00 აშშ დოლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით.

ბ. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2018, 2019, 2020,2021 და 2022) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა სულ მცირე **57,000,000.00 აშშ დოლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებისგან, გაყოფილი 5 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2018 წლის 1 იანვრიდან**;

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2018 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** ერთ კონტრაქტს ღირებულებით არანაკლებ **76,000,000** აშშ დოლარი, ან ორ კონტრაქტს ჯამური ღირებულებით არანაკლებ **76,000,000** აშშ დოლარი, რომელთაგანაც ერთ-ერთის ღირებულება იქნება სულ მცირე **53,200,000** აშშ დოლარი. წარმოდგენილი პროექტები წარმატებით უნდა იყოს განხორციელებული (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებული) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსი;

ე. 2018 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე კომპანიას უნდა ჰქონდეს მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

**ა) ნებისმიერი 12 თვის უწყვეტ პერიოდში:**
- გზის ასფალტის საფარი – 56000 მ²;

ბ) ნებისმიერი 30 თვის უწყვეტ პერიოდში:
- სატრანსპორტო ხიდის მშენებლობა (საგზაო, სარკინიგზო) ხიდის მალის ნაშენით 20,500.00 მ2.
- სატრანსპორტო გვირაბების მშენებლობა (საგზაო, სარკინიგზო), საერთო სიგრძით არანაკლებ 1300 მ. მინიმუმ ერთი გვირაბი უნდა იყოს საგზაო გვირაბი, რომლის სიგრძეა მინიმუმ 500 მ, სავენტილაციო სისტემით.

ვ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2018 წლის 1 იანვრიდან** სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში გარემოსა და სოციალური რისკების და გავლენების მართვას, კერძოდ: ავტომაგისტრალის მშენებლობის ხელშეკრულებების ფარგლებში **გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების განხორციელება.**

4. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება ,,საერთაშორისო ტენდერის“ (Request for Bids) პროცედურით, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „Procurement Regulations for IPF Borrowers - Procurement in Investment Project Financing” dated November 2020, ourth edition”.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, სატენდერო დოკუმენტაციის ინსტრუქციის ტენდერში მონაწილეთათვის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადებების ელექტრონული წარმოდგენის ბოლო ვადაა: როგორც აღნიშნულია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემაში (http://procurement.gov.ge/en).

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. ტენდერის გახსნა მოხდება ელექტრონულად საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით. ტენდერის გახსნის ოქმი აიტვირთება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების გახსნის შემდეგ.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია **3,700,000.00 ლარის** ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილია სხვა ვალუტაში, გარდა ქართული ლარისა, გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული გაცვლითი კურსი (www.nbg.gov.ge). გაცვლითი კურსის მოქმედი თარიღია: წინადადების წარდგენის ვადამდე 28 დღით ადრე. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა ორიგინალი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა წარმოადგინონ, შემდეგ ვადებში: მხოლოდ წინადადებების წარმოდგენის შემდეგ და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ორიგინალი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სალომე წურწუმია - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზ. 12
ქალაქი: თბილისი, 0160
ქვეყანა: საქართველო
შენიშვნა: სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის დაგვიანებული წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სატენდერო პროცედურებიდან.

11. ყურადღება გამახვილებულია შესყიდვების რეგულაციებზე, რომელიც მოითხოვს, რომ მსესხებელმა გაამჟღავნოს ინფორმაცია გამარჯვებული პრეტენდენტის ბენეფიციარის საკუთრების შესახებ, როგორც კონტრაქტის მინიჭების შესახებ შეტყობინების ნაწილი, ბენეფიციარის საკუთრების გამჟღავნების ფორმის გამოყენებით, როგორც ეს მოცემულია სატენდერო დოკუმენტში.

12. დამატებითი ინფორმაცია:
- ➢ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=hQak4jPorj4&feature=youtu.be
- ➢ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ტენდერზე ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=9O3W8_WiDgg&feature=youtu.be

# Specific Procurement Notice Request for Bids Works

## (Without Prequalification)

**Country:** *Georgia*
**Employer:** *Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia*
**Financing Source:** *Government of Georgia*
**Contract title:** ***Construction Works for Stepantsminda- Gveleti Road Section from Km 0+440 to Km 4+490 (Lot 1) of Mtskheta-Stepantsminda-Larsi International Road***
**RFB No:** *GOG/CW/RFB-02*
**Issued on:** *June 13, 2023*

1. The Government of Georgia has allocated the funds from the State Budget to finance the ***Construction Works for Stepantsminda- Gveleti Road Section from Km 0+440 to Km 4+490 (Lot 1) of Mtskheta-Stepantsminda-Larsi International Road***

2. Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites Bids from eligible Bidders for these works. Implementation period for the execution of works is **30 months**. Defects Liability Period is **730 days.** The Project's aim is to construct 4.5 km section of Stepantsminda-Gveleti Road. Basic technical parameters for the project section: Design speed - 60 km/h; The width of the roadbed – 14.0 m; The width of the carriageway – 7.0 m; Number of traffic lanes – 2; Cross slope of the carriageway – 2.5%; Project include: Overpass with a length of 2020m, Tunnel with a length of 460m, following the open passage at 275m, which again passes through the tunnel with length 846m and an overpass with a length of 636 m.

3. Bidders shall meet the following minimum qualification criteria to qualify for award of the contract:

a. The Bidder shall demonstrate that it has access to, or has available, liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **USD $ 9,500,000 (Nine Million Five Hundred Thousand United States Dollars)** for the subject contract(s) net of the Bidder's other commitments.

b. Minimum average annual construction turnover of **US$ 57,000,000 (Fifty Seven Million United States Dollars),** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within the last *5 (five)* years.

c. A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed as a prime contractor, joint venture member, management contractor or Subcontractor between **1st January 2018 and bid submission deadline:** (i) 1 contract with minimum value of **USD 76,000,000 (Seventy Six Million United States Dollars)** Or (ii) 2 2 contracts, with a combined value of **US $ 76,000,000 (Seventy Six million US Dollars)**, out of which one should be of at least U**S $ 53,200,000 (Fifty Three million Two Hundred Thousand US Dollars)**.

d. As prime contractor, joint venture member, or Subcontractor between **1st January 2018** and Bid submission deadline, a minimum construction experience in the following key activities successfully completed:

a)- - - - - - - - - - - - - -in any 12 months continuous period:
- - - - - - - - - - - - - - - ***Road Asphalt Pavement* – 56,000 m²;**

b) in any 30 months' consecutive period:
- - - - - - - - - - - - - - -***Construction of Transport Bridge (Road, Railway) with aggregate Bridge Deck of 20,500.00 m² ;***
- - - - - - - - - - - - - -***Construction of transport tunnels (Road, Railway) with a total combined length of at least 1,300 m. At least one tunnel should be a road tunnel with a minimum length of 500m with ventilation system.***

e.- - - - - - - - - - - - - -As prime contractor, joint venture member, or Subcontractor between **1st January 2018** and Bid submission deadline, experience in managing ES risks and impacts in the following aspects: *Implementation of* ***Environmental and Social Management Plans*** *under highway construction contracts.*

4. Bidding will be conducted through international competitive procurement using Request for Bids (RFB) as specified in the World Bank's "Procurement Regulations for IPF Borrowers - Procurement in Investment Projects Financing" *dated November 2020, Fourth Edition* ("Procurement Regulations"), and is open to all eligible Bidders as defined in the Procurement Regulations.

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the State E-procurement System (http://procurement.gov.ge/en ).

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System. The Minutes of the Bid Opening will be uploaded in the E-Procurement System following the bid opening.

9. All Bids must be accompanied by a Bid Security of **GEL 3,700,000.00 (Three Million Seven Hundred Thousand Georgian Lari).** In case the Bid Security is submitted in any currency other than Georgian Lari, the exchange rate published by the National Bank of Georgia shall be used (www.nbg.gov.ge). The applicable date for the exchange rate shall be: 28 days prior to the deadline of bid submission. The Original Bid Security shall be delivered within the following timeframe: Only after the bid submission deadline and no later than 10 business days from the bid submission deadline in original form to the following address of the Employer:

Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Attention: Ms. SalomeTsurtsumia - Deputy Chairperson
Address: 12, Al.Kazbegi Ave
City: Tbilisi ZIP Code: 0160
Country: Georgia
**Note: Belated delivery of the original Bid Security will make the bid non-responsive and will be rejected by the Employer.**

10. Attention is drawn to the Procurement Regulations requiring the Borrower to disclose information on the successful bidder's beneficial ownership, as part of the Contract Award Notice, using the Beneficial Ownership Disclosure Form as included in the bidding document.

11. Supplementary Information:
- ➢ Instruction for registration on the E-Procurement System can be found on the following link: *https://www.youtube.com/watch?v=hQak4jPorj4&feature=youtu.be*
- ➢ Instruction for bidding on the E-Procurement System can be found on the following link: *https://www.youtube.com/watch?v=9O3W8_WiDgg&feature=youtu.be*

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

**დაფინანსების წყარო:** საქართველოს მთავრობა

**დავალების დასახელება:** საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა - გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+490 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობის ზედამხედველობა

**კონტრაქტის/ RFP No:** GOG/CS/QCBS-02

1. საქართველოს მთავრობამ გამოყო სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის გარკვეული ნაწილი **საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა - გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+490 (ლოტი 1) მონაკვეთის მშენებლობის** დაფინანსების მიზნით.

2. პროექტის მიზანია სტეფანწმინდა-გველეთის გზის 4,5 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ 126 - კმ 133 მონაკვეთზე. საპროექტო მონაკვეთი იწყება მდ. ჩხერეზე არსებული ხიდიდან 158 მ-ში და მთავრდება არსებული საავტომობილო გზის კმ 130+755-ზე, სოფელ გველეთის მიმდებარედ. საპროექტო მონაკვეთი გადის ძალიან რთულ რელიეფზე, მდინარე თერგის ვიწრო ხეობაში, რომელსაც ორივე მხრიდან მთები ესაზღვრება. არსებულ გზას აქვს მკვეთრი მოსახვევები მცირე რადიუსებით, შეზღუდული ხილვადობა, გზის სიგანე ცვალებადია და არ აკმაყოფილებს მინიმალურ ტექნიკურ სტანდარტებს. არსებულ გზაზე (ოთხ ადგილას) მოწყობილი აივნები ამორტიზებულია და დაზიანებულია. საპროექტო გზის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებია: საპროექტო სიჩქარე - 60 კმ/სთ; სავალი ნაწილის სიგანე – 7,0 მ; მოძრაობის ზოლების რაოდენობა – 2; პროექტი მოიცავს: ხიდი სიგრძით 2020 მ, გვირაბი 460 მ სიგრძით, ღია გადასასვლელი 275 მ, რომელიც კვლავ უკავშირდება 846 მ სიგრძის გვირაბსა და 636 მ სიგრძის ხიდს.

3. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს **საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა - გველეთის საავტომობილო გზის კმ 0+440 კმ 4+490 (ლოტი 1) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას.**

4. საკონსულტაციო მომსახურების ძირითადი მიზნებია: (ა) დეტალური პროექტის განხილვა; (ბ) ინჟინრის ფუნქციების შესრულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (FIDIC წითელი წიგნი, მეორე გამოცემა 2017); (გ) პროექტის განხორციელებისას კონტრაქტორის მიერ ჩატარებული აქტივობების ყოვლისმომცველი ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნახაზებთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან და კონტრაქტის შემადგენელ სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობა, ზედამხედველობასა და სამუშაოების შესრულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტებით; (დ) რეკომენდაციების მიცემა დამკვეთისათვის კონტრაქტების მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და დამკვეთისათვის დახმარების გაწევა სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული ხარჯებით დასრულებისთვის.

5. კონსულტანტი, მოსალოდნელია, რომ უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად **401 კაც-თვეს.** მომსახურების ხანგრძლივობა იქნება **56 თვე** (მათ შორის 2 თვე პროექტის განხილვისთვის, 30 თვე მშენებლობის ზედამხედველობა, 24 თვე დეფექტების შეტყობინების პერიოდი).

6. დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ დავალების ტექნიკური დავალება, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ბმულზე:

https://www.dropbox.com/sh/ljg5tfq3tlu7t0g/AACsg4w3IjLUJqGXUMHhY6_-a?dl=0

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქვთ მოთხოვნილი კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება მომსახურების შესასრულებლად.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

| 1 | **ზოგადი გამოცდილება** | **გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტრულ პროექტებში** |
|---|---|---|
| 2 | **მსგავსი გამოცდილება** | მინიმუმ 2 პროექტი, რომელთა მინიმალური ღირებულება **3 000 000 აშშ დოლარის** ექვივალენტია, დაკავშირებულია მაგისტრალის/ ჩქაროსნული მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობასთან (სარეაბილიტაციო პროექტების ზედამხედველობა არ განიხილება) შესრულებულია FIDIC წითელი წიგნის ან FIDIC MDB ხელშეკრულების ჰარმონიზებული ვერსიის პირობების შესაბამისად და წარმატებით განხორციელდა 01.01.2015 წლიდან ინტერესთა გამოხატვის მიღების ბოლო ვადამდე, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე მოწვევის მე-12 პუნქტში. |
| | | წარმოდგენილი ცნობით პროექტი სრულად უნდა იყოს დასრულებული<br>- კოსნულტანტი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას,<br>- ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში ყველა პარტნიორი ერთობლივად: უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას *<br>- ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში თითოეული პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნის მინიმუმ 25 %-ს (მინიმუმ 1 პროექტი, თითოეული მინიმალური ღირებულებით 3 000 000 აშშ დოლარის 25 %, (ე.ი. 800 000 აშშ დოლარის ექვივალენტი),<br>- ერთი პარტნიორი: არაა განსაზღვრული<br><br>* ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მისი წევრების მიერ დადებული ხელშეკრულებების ღირებულება არ დაჯამდება იმის დასადგენად, დაკმაყოფილებულია თუ არა მსგავსი ხელშეკრულების მინიმალური ღირებულების მოთხოვნები. ამის ნაცვლად, თითოეული წევრის მიერ შესრულებული ხელშეკრულება უნდა აკმაყოფილებდეს მსგავსი ხელშეკრულების მოთხოვნების მინიმალურ ღირებულებას. |

ძირითადი ექსპერტები მოკლე სიის ეტაპზე არ შეფასდებიან. საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ცნობები და გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია შეფასების მიზნებისთვის.

8. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის „შესყიდვების რეგულაციები სესხის ამღებთათვის" 2020 წლის ნოემბერი, მეოთხე გამოცემა (შესყიდვების რეგულაციები) მე-2 ნაწილის 3.14, 3.16 და 3.17 პარაგრაფებს, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. დამატებით, გთხოვთ იხილოთ შემდეგი სპეციფიკური ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით ამ დავალებისთვის: კონსულტანტმა დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურება უნდა მიიღოს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

9. კონსულტანტებს შეუძლიათ ასოცირდნენ სხვა ფირმებთან მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ უნდა მიუთითონ შესაბამის ფორმაში ამ ასოცირების სახე: ერთობლივი საწარმოს წევრი ან/და ქვე-კონსულტი. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, საწარმოს ყველა პარტნიორი უნდა იყოს ერთად და ცალცალკე პასუხისმგებელი კონტრაქტის შესრულებაზე მათი შერჩევის შემთხვევაში. კომპანიის გამოცდილების შეფასებისას ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული. დავალების შესაბამის პროექტებში გამოცდილება უნდა იქნეს წარმოდგენილი სპეციალური ფორმის შესაბამისად, რომელიც ატვირთულია ტექნიკურ დავალებსთან ერთად.

10. კონსულტანტების შერჩევა მოხდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული შერჩევის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია შესყიდვების რეგულაციებით.

11. დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტით: info@georoad.ge

12. ინტერესის გამოხატვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფორმით ან ნაბეჭდი ვერსიის სახით (ნაბეჭდ ვერსიას თან უნდა ახლდეს ინტერესთა გამოხატვის ელექტრონული ასლი) ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2023 წლის 30 ივნისის 18:00 საათისა.**

13. საკონტაქტო პირი: **სალომე წურწუმია**

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST (CONSULTING SERVICES – FIRMS SELECTION)

GEORGIA

**Financing Source:** Government of Georgia

Assignment Title: SUPERVISION OF CONSTRUCTION WORKS FOR STEPANTSMINDA- GVELETI ROAD SECTION FROM KM 0+440 TO KM 4+490 (LOT 1) OF MTSKHETA-STEPANTSMINDA-LARSI INTERNATIONAL ROAD

**Reference No**: GOG/CS/QCBS-02

1. The Government of Georgia has allocated the funds from the State Budget to finance the **CONSTRUCTION WORKS FOR STEPANTSMINDA- GVELETI ROAD SECTION FROM KM 0+440 TO KM 4+490 (LOT 1) OF MTSKHETA-STEPANTSMINDA-LARSI INTERNATIONAL ROAD**. The total length of the project section is 4.5 km.

2. The Project's aim is to construct 4.5 km section of Stepantsminda-Gveleti Road, which is located within the km 126 - km 133 of the Mtskheta-Stepantsminda-Larsi International Road. The project section starts in 158 m from the bridge existed over the river Chkhere and ends at km 130+755, near the village Gveleti. The project section passes through very difficult terrain, in a narrow valley of the Tergi River, which is bordered by mountains on both sides. Basic technical parameters for the project section: Design speed - 60 km/h; the width of the carriageway – 7.0 m; Number of traffic lanes – 2; Overpass with a length of 2020m, Tunnel with a length of 460m, following the open passage at 275m, which again passes through the tunnel with length 846m and an overpass with a length of 636 m.

3. The consulting services ("the Services") include **SUPERVISION OF CONSTRUCTION WORKS FOR STEPANTSMINDA- GVELETI ROAD SECTION FROM KM 0+440 TO KM 4+490 (LOT 1) OF MTSKHETA-STEPANTSMINDA-LARSI INTERNATIONAL ROAD**

4. The primary objectives of the consulting services ("the Services") are as follows: (i) to review the detailed design (ii) to function as the Engineer in administering the civil works contracts and execution of all rights and responsibilities of the Engineer in accordance with the Conditions of the Contract (FIDIC Red Book Second edition 2017), (iii) comprehensive supervision of project implementation activities carried out by the contractors to ensure the compliance with the drawings, technical specifications and various stipulations contained in the contract documents, with high standards of quality assurance in supervision and in the execution of works; (iv) advice the Employer on all matters concerning the contracts management and support the Employer to have the works completed within the stipulated time for completion and cost to the extent possible.

5. The consultant will provide approximately **401 person-months** of consulting services. The services will be provided over a period of **56 months** (including 2 months for Design Review, 30 months of construction supervision and 24 months of DNP), commencing tentatively in Q1 2024.

6. The detailed Terms of Reference (TOR) for the assignment can be found at the following link:

https://www.dropbox.com/sh/ljg5tfq3tlu7t0g/AACsg4w3IjLUJqGXUMHhY6_-a?dl=0

7. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting firms ("Consultants") to indicate their interest in providing the Services. Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

**The selection criteria are:**

| 1 | **General experience** | **Experience in road infrastructure projects;** |
|---|---|---|
| 2 | **Similar experience** | At least 2 projects, each of a minimum value of **USD 3 000 000** equivalent, related to the supervision of highway/motorway/expressway construction works, (supervision of rehabilitation projects shall not be considered) executed under either FIDIC RED Book or FIDIC MDB Harmonized version conditions of contract, successfully carried out from 01.01.2015 up to the deadline for the receipt of EOIs indicated under item 12 below. |
| | | The submitted references should be either fully completed (the final payments done) or the taking-over certificates issued.<br><br>In case of Joint Venture:<br><br>- single entity: must meet requirement;<br>- all partners combined: must meet requirement*,<br>- each partner: must meet at least 25 % of the requirement (at least 1 similar project, with a minimum value of 25 % of USD 3 000 000 (i.e. USD 800 000) equivalent);<br>- one partner: N/A<br><br>* In the case of JV, the value of contracts completed by its members shall not be aggregated to determine whether the requirement of the minimum value of similar projects has been met. Instead, each contract performed by each member contributing to meeting the requirement shall satisfy the minimum value of a similar project as required for single entity. |

Key Experts will not be evaluated at the shortlisting stage. The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

8. The attention of interested Consultants is drawn to Section III, paragraphs, 3.14, 3.16, and 3.17 of the World Bank's "Procurement Regulations for IPF Borrowers", November 2020, Fourth Edition ("Procurement Regulations"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any payment in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the Employer under the contract.

9. Consultants may associate with other firms to enhance their qualifications, but should indicate clearly whether the association is in the form of a joint venture and/or a sub-consultancy. In the case of a joint venture, all the partners in the joint venture shall be jointly and severally liable for the entire contract, if selected. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the form uploaded together with the Terms of Reference.

10. A Consultant will be selected in accordance with the Quality and Cost-Based Selection method set out in the Procurement Regulations.

11. Further information can be obtained at the address: info@georoad.ge

12. Expressions of Interest accompanied by relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **June 30, 2023, 18:00 local time**. The electronic copy of Expressions of Interest shall be also attached to the hard copy (with USB/CD/DVD, etc).

13. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Attn: Ms. Salome Tsurtsumia, Deputy Chairperson

12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Tel: (995 32) 2 37-05-08

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

ფორუმის შედეგი

# საჭადრაკო მექამ მოზარდებს დღესასწაული აჩუქა

**ერთი ოქროს, ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი – ასეთია ახალგაზრდა ქართველ მოჭადრაკეთა მონაგარი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში 8-18 წლის გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც ბათუმი ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა. როგორც უკვე გაუწყეთ, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ანასტასია კირთაძემ, რომელიც 14-წლამდელებში სწრაფ ჭადრაკში 11 შესაძლებლობიდან 9.5 ქულით წლეულს ზედიზედ მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. საქმე ის არის, რომ კირთაძემ გაზაფხულზე 15-წლამდელებში ჯერ მსოფლიოს, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატი მოიგო.**

ანასტასიამ ოქროს მონაგარი ვერცხლის მედლითაც გაიმდიდრა – ელვისებურ ჭადრაკში 11 შესაძლებლობიდან 8.5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. არადა, პირველ დღეს ექვსიდან მხოლოდ 4 ქულა ჰქონდა, მეორე დღეს კი 5-დან 4.5 ქულას მოუყარა თავი და საბოლოოდ ამ ასაკში ჩემპიონ ზარინა ნურგალიევას (ყაზახეთი) ქულით ჩამორჩა. 8 ქულით ბრინჯაოს მედალი **კესარია მგელაძეს** ხვდა. მანამდე საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს ჯილდო 18-წლამდელებში **დიანა ლომაიამ** მოუტანა. ამავე დისციპლინაში 10-წლამდელთა შორის **ბარბარე ჭიოკაძემ** 11 შესაძლებლობიდან 8 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 18-წლამდელებში ელენე წოწონავას 6.5 ქულით მე-5 ადგილი ხვდა. 12-წლიან ვაჟებში 8 ქულით, ასევე, მეხუთე იყო ანდრია კვირიაშვილი.



აჭარის დედაქალაქში კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატის პარალელურად, ფიდეს და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, ცნობილ მოჭადრაკე ქალთა მატჩ-ტურნირიც (მთავარი მსაჯი აშოტ ვართაპეტიანი) მიმდინარეობდა. საქართველო – უკრაინის შეხვედრა (ნინო ბაციაშვილი – მარია მუზიჩუკი, მერი არაბიძე – ანა მუზიჩუკი) ფრედ – 6:6 დამთავრდა.

**„საქართველო – უკრაინის მატჩი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ძლიერი მეტოქეები გვყავდა. ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთის თამაშის მანერას, ამიტომ პარტიები მძიმედ, მაგრამ საინტერესოდ წარიმართა. შეხვედრა ფრედ დასრულდა. უღრმესი მადლობა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასა და ბათუმს გულთბილი მასპინძლობისთვის“**, – გვითხრა სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ანა მუზიჩუკმა.

**მერი არაბიძე, ევროპის მოქმედი ჩემპიონი: „ტურნირი არაჩვეულებრივად იყო ორგანიზებული, მასპინძლებმა შესანიშნავი საცხოვრებელი და სათამაშო პირობები შეგვიქმნეს. ტიტულოვან უკრაინელ დებთან შეხვედრა, სოლიდარობის გარდა, მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად კარგი სპარინგობაც გამოვიდა. 6-6 კლასიკური პარტია ვითამაშეთ და დიდი გამოცდილებაც შევიძინეთ. მიხარია, რომ ასპარეზობის ბოლო დღეს მე და ნინომ პარტიები მოვიგეთ და საერთო ანგარიში გავათანაბრეთ“.**

კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე შთაბეჭდილებები გაგვიზიარა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ **ბადრი ნაკაშიძემ**, რომელმაც ასეთი მასშტაბური საჭადრაკო ღონისძიების ბათუმში გამართვისთვის მადლიერებით მოიხსენია საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი **აკაკი იაშვილი**, ასევე, აჭარის ჭადრაკის ფედერაციაც (პრეზიდენტი **სალომე მელია**), რომელმაც ძალისხმევა არ დაიშურა საიმისოდ, რომ ბათუმში ახალგაზრდების ეს დღესასწაული შემდგარიყო.

**„ჩვენთვის დიდი გამოწვევაა, მაღალ დონეზე ვუმასპინძლოთ ნებისმიერ სასპორტო ღონისძიებას, – გვითხრა მან. – მით უმეტეს – საჭადრაკო შეჯიბრებებს, რადგან საქართველო საყოველთაოდ არის ცნობილი ამ სახეობაში წარმატებებით, ლეგენდარულ დიდოსტატ ქალთა განუმეორებელი შედეგებითა და ვაჟ მოჭადრაკეთა მიღწევებით. ამ პირველობისთვის მომზადებაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული სხვადასხვა ორგანიზაციის მესვეურები. კოორდინირებულად და დროულად გადაწყდა ყველა საკითხი, რომლებიც ამ ჩემპიონატს უკავშირდებოდა. ყველაფერი გავაკეთეთ, შეჯიბრების მონაწილეებისა და აჭარის დედაქალაქის სტუმრებისთვის კარგი განწყობის შესაქმნელად, რათა მათ სამუდამოდ დაამახსოვრდეთ საქართველო და ჩვენი ულამაზესი ქალაქი“.**

ბატონ ბადრი ნაკაშიძისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ბათუმში მალე დაიწყება ჭადრაკის სასახლის მშენებლობა, რომელსაც ორი დიდი დარბაზი ექნება, თითოეული 600 კვადრატული მეტრით, სამეცადინო და სატრენაჟორო ოთახებით. ასე რომ, აჭარის დედაქალაქი სამომავლოდაც საჭადრაკო მექად რჩება.

**ვაჟა დანელია**

ევრო – 2024

# კუნძულზე – 3 ქულისთვის

**როგორც იქნა, დასრულდა გაჭიანურებული მოლოდინი და გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები კვიპროსში გაემგზავრა, სადაც ხვალ ევრო – 2024-ის უმნიშვნელოვანეს შესარჩევ მატჩს გამართავს თემურ ქეცბაიას გაწვრთნილ კუნძულელებთან.**

სასიამოვნო სიურპრიზია, რომ ტრავმირებული არავინ გვყავს და მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობით ვესტუმრეთ, თუმცა მოახლოებულმა ახალგაზრდულმა საშინაო ევროფორუმმა კორექტივები მაინც შეგვიტანინა გეგმებში და უმცროს ჯვაროსნებს წიტაიშვილი, საზონოვი, სიგუა და **რამაზ სვანაძის** გუნდის კაპიტანი მექვაბიშვილი დავუთმეთ, მაგრამ ამ უკანასკნელს საზარდულის ტრავმა აწუხებს და ჯერჯერობით უცნობია, შეუერთდება თუ არა პარტნიორებს.




რაც შეეხება **ვილი სანიოლს,** მისი 25 რჩეულის ნუსხა ასე გამოიყურება: **მეკარეები** – ლორია, მამარდაშვილი, გუგეშაშვილი. **მცველები** – კაშია, კვირკველია, კაკაბაძე, ლოჩოშვილი, გველესიანი, დვალი, ტაბიძე, აზაროვი, გოჩოლეიშვილი. **ნახევარმცველები** – კვეკვესკირი, კიტეიშვილი, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი, შენგელია, გაგნიძე, ლობჟანიძე, ჩაკვეტაძე, დავითაშვილი, კვარაცხელია. **თავდამსხმელები** – მიქაუტაძე, ზივზივაძე, ქვილითაია. ასე რომ, ხვალ 22 საათსა და 45 წუთიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე მონატრებული მატჩია!

ყინულზე

# მთავარია გვქონდეს ფული

**ჰოკეის სამშობლოს ახალი ჩემპიონი ჰყავს, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფინანსურ კეთილდღეობას მთების გადადგმა შეუძლია.**

საუბარია ვეგას გოლდენ ნაითსზე, რომელიც 6 წლის წინათ კაზინოებით განთქმულ ქალაქში შეიქმნა, პირველივე სეზონში ნჰლ-ის ფინალისტი გახდა, წლეულს კი სატიტულო სერიაში ფლორიდა გაანადგურა – 4:1 და ოლიმპოზე ავიჯა!

განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ ბოლო – ოქროს მატჩი, რომელშიც მომავალმა ტრიუმფატორებმა მრისხანე მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს – 9:3.

თითოეული კაზინო თითოეულ მოთამაშეს სპონსორობსო – ხუმრობენ თურმე ლას-ვეგასში. რატომაც არა – სახუმაროდ არა აქვთ საქმე თუ რა?

ეგზოტიკა

# პირადშიც, გუნდურშიც

**სინგაპურში გაიმართა ქვიშის ჭიდაობის მსოფლიოს სერიის მეორე ეტაპი, რომელიც ამავდროულად იყო ქვიშის მეორე მსოფლიო თამაშების მეხუთე სალიცენზიო ტურნირი. საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა კვლავ დიდ წარმატებას მიაღწია – 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი პირველი ადგილი დაიკავა.**

ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ: **ნიკა კენჭაძე** (80 კგ), **დავით ფირუზაშვილი** ( 90 კგ) და **მამუკა კორძაია** (+90 კგ), ხოლო **ლევან ქელეხსაშვილმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (70 კგ). ქვიშის ჭიდაობაში მსოფლიო სერიის მესამე ეტაპს საფრანგეთის ქალაქი ნიცა 28-30 ივნისს უმასპინძლებს.

ქვიშის მსოფლიოს მეორე თამაშებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის (ANOC) ეგიდით ბალი (ინდონეზია) 5-12 აგვისტოს უმასპინძლებს და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ქვიშის მოჭიდავეთა და წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები.




მოვლენის წინ




# 30 რჩეული

**უმცროს ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბმა ის 30 მორაგბე დაასახელა, რომლებიც მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრნენ.**

ჩემპიონატი კოვიდ-პანდემიით გამოწვეული 3-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ წელს პირველად, 24 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით იმართება. უმცროსი ბორჯღალოსნები **გ ჯგუფში** მასპინძელი სამხრეთ აფრიკის, არგენტინისა და იტალიის წინააღმდეგ ითამაშებენ; **ა ჯგუფში** საფრანგეთი, ახალი ზელანდია, უელსი და იაპონია, ხოლო **ბ ჯგუფში** ინგლისი, ირლანდია, ავსტრალია და ფიჯი მოხვდნენ.

სამხრეთ აფრიკაში წამსვლელთა შორის 17 მორკინალი და 13 ხაზის მოთამაშეა. 30 მორაგბიდან 15 ლეგიონერია. გუნდში 11 ისეთი მოთამაშეა (2004 წელს დაბადებული), რომელიც 20-წლამდელთა ჩემპიონატს გაისადაც ითამაშებს. სამწუხაროდ, გვაქვს დანაკლისიც.

შემადგენლობასთან დაკავშირებით გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლადო კილასონია** ამბობს:

**„ნიკა სუთიძე მთელი მოსამზადებელი პერიოდი გვერდში გვედგა, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო და სამხრეთ აფრიკაში ძალიან დაგვაკლდება. მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის გააკეთა. გვაქვს მიკრო-ტრავმები, თუმცა საშიში არაფერია. 19 ივნისს შემოგვიერთდება სერგო აბრამიშვილი.**

**წლების განმავლობაში 20-წლამდელთა გუნდში ასეთი მიდგომა გვქონდა – თუ მოთამაშეები მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის იყვნენ, არჩევანს ერთი წლით უმცროსებზე ვაკეთებდით, რაც განაპირობებდა გამოცდილ მოთამაშეთა ბირთვის არსებობას მომავალი წლისთვის. როდესაც გუნდში გყავს მორაგბეები, რომლებმაც ზუსტად იციან რა დახვდებათ ტურნირზე, რა არის საჭირო სათანადოდ მოსამზადებლად, ძალიან კარგია. ამ გუნდშიც არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებმაც შარშან ექვსი ერის 20-წლამდელთა ზაფხულის სერიებში უდიდესი გამოცდილება შეიძინეს და ეს ძალიან გვახარებს. მათ იციან როგორია ყოველ 5 დღეში თამაში და როგორ უნდა მოემზადონ თამაშიდან თამაშამდე“.**

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკაში 13 ივნისს გაემგზავრნენ და ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს მასპინძლებთან 24 ივნისს, სტელენბოშში გამართავენ. 29 ივნისს მათი მეტოქე არგენტინა იქნება, ხოლო 4 ივლისს იტალიას ვერკინებით. ნახევარფინალური შეხვედრები 9 ივლისსაა ჩანიშნული, ფინალები კი – 14 ივლისს. რომელი ადგილისთვის გააგრძელებს ბრძოლას საქართველო და ვინ იქნება მისი მეტოქე, ჯგუფში დაკავებული ადგილის მიხედვით გაირკვევა.

**„ინგლისთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, სამხრეთ აფრიკაში ამაღლებულ განწყობაზე, თავდაჯერებულები მივდივართ, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი განსხვავებული ფორმატია და მეტოქენიც უძლიერესნი არიან. ჩვენი თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ზუსტად ვიცით, რომ ზერელედ არავინ მოგვიდგება და ყველა გუნდი მაქსიმალური მობილიზებით გვეთამაშება. ყოველ შემთხვევაში, მე რომ საქართველოს მეტოქე გუნდის მწვრთნელი ვიყო, მასთან თამაშს ორმაგი სიფრთხილით მოვეკიდებოდი“**, – ამბობს კილასონია და მეტოქეთა შესახებ განაგრძობს:

**„ჯგუფურ ეტაპზე ძლიერი მეტოქეები გვყავს. სამხრეთ აფრიკა მასპინძელია და ყველა ჩემპიონატზე, რომელშიც აქამდე მონაწილეობდა, ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე კი, გაორმაგებული მონდომებით ითამაშებს. ძალიან მაგარია, ინგლისი რომ დავამარცხეთ, თუმცა იტალიასაც კარგი თაობა ჰყავს და 2022 წელს მანაც მოახერხა ინგლისის დამარცხება, თანაც ორჯერ 1 წლის განმავლობაში. მაღალი დონის, სწრაფი და მოძრავი გუნდია არგენტინა, რომელიც მეტოქეს შეცდომას პრაქტიკულად არასდროს პატიობს.**

**ასე რომ, რთული თამაშები გველის და ჩვენი მთავარი მიზანი თამაშიდან თამაშამდე ხარისხის გაუმჯობესება იქნება. საფრანგეთთან და ინგლისთან მიღებული გამოცდილება ძალიან წაგვადგება, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება“.**

## სანთელი



**არჩილ, გიგი, აჩიკო გოგელიები, ნელი, ლიზა მელიქიძეები** ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის ნათელმირონი, გამორჩეული იურისტი, უღალატო მეგობარი და დიდბუნებოვანი პიროვნება

**როლანდ გილიგაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, სამეგობროს და სანათესაოს.

# ბაკურციხე-წნორის ახალი გზა საგზაო უსაფრთხოების სტანდარტს გაზრდის

**გაკურციხე-წნორის შემოვლითი ახალი გზის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს გზა საერთაშორისო გზის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია. ამჟამად არსებული გზის ძირითადი გამოწვევა ის არის, რომ 6 სოფელს გადის და საგზაო უსაფრთხოების კუთხით, დაუშვებელია ამ პირობებში საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელება. ახალი 16.6 კმ-იანი გზა კი, გვერდს აუვლის ქალაქ წნორს და ექვსივე სოფელს. ახალი გზით მნიშვნელოვნად გაიზრდება ავტოტრანსპორტის გამტარობა და დაცული იქნება საგზაო უსაფრთხოების ყველა საერთაშორისო სტანდარტი,** – ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ, ბაკურციხე-წნორის ახალი გზის სამშენებლო სამუშაოების მონახულების შემდეგ განაცხადა.



ბაკურციხე-წნორის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს 16.6 კილომეტრი სიგრძის, 2-ზოლიანი, ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის და 6 ხიდის მშენებლობას. პროექტი აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება და სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 87.8 მილიონ ლარია.

# გოგონა თვითმკვლელობამდე მიიყვანა... ბრალსაც დაუმძიმებენ!

**15 წლის გოგონაზე სექსუალური კავშირისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით დაკავებულ ლაშა ნინიძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.**

ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმეს მოსამართლე თამარ ბეჟანიშვილი განიხილავდა. პროცესი არასრულწლოვანის ინტერესიდან გამომდინარე დახურული იყო. პროკურორ ალექსანდრე ძირკვაძის თქმით, ბრალდებული დაღუპული გოგოს ნათესავი არ არის, თუმცა ისინი წლების განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს, ერთ მისამართზე ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ. პროკურორი არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდეს. ასევე, ბრალი სხვა პირებსაც წარუდგინონ. მისივე განმარტებით, ამ საქმეზე გამოძიება გრძელდება.



## რევაზ სტურუას არდავიწყება

# ამოუწურავი ზრუნვითა და სიყვარულით გამორჩეული კაცი



### თითქმის ორწელიწადნახევარი გავიდა ბატონი რეზო სტურუას გარდაცვალებიდან და მისმა წასვლამ იმძვენიურ საქართველოში, ამ ქვეყანაში დაგვიტოვა უზარმაზარი სიცარიელე, თუმცა დაგვიტოვა უამრავი რამ გასახსენებლად....

რითი ფასდება კაცი?!

— ალბათ იმ სიყვარულით, რომლითაც იტვირთება და გულით ატარებს; იმ სიკეთით, რომელსაც უშურველად აკეთებს და ქვაზე დებს.

ბატონი რეზო იყო მუდამ ორგანიზებული, უდიდესი პასუხისმგებელი, მომთხოვნი საკუთარი თავისა და ამავე დროს იმ ადამიანების მიმართ, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მიმტევებელი თუ ამას საქმე მოითხოვდა.

ბატონი რეზო იყო დაუღალავი, განუსაზღვრელი ინიციატივების და იდეების სულის ჩამდგმელი, შესაშური ალღოს მქონე და მუდმივად ახლისადმი სწრაფვის უნარით დაჯილდოებული, შორსმჭვრეტელი, მოქნილი გონების და მტკიცე, გამბედავი ხასიათის, მომთხოვნი და უსაზღვროდ ყურადღებიანი.

ბატონმა რეზომ თითქმის ექვსი ათეული წელი იღვაწა ტექნიკური უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, სწორედ ამიტომაც ჩამოუყალიბდა ტექნიკური უნივესიტეტისადმი განსაკუთრებული სიყვარული, ზრუნვა თითოეული თანამშრომლის თუ სტუდენტის მიმართ, მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო უნივერსიტეტთან დაკავშირებული ყველა წარმატება, საშინელი განცდა და ტკივილი ნებისმიერი წარუმატებლობისადმი.

ბატონი რეზო თავისი სამეგობროს სული და გული, თანამდგომი, თანამოაზრე, მზრუნველი, ერთგული და მოსიყვარულე იყო. უყვარდა საკუთარი მეგობრები და უყვარდათ მათაც. უთქმელად ითავისებდა თითოეული მათგანის ლხინსა და ჭირს, მეგობრების წარმატების გამზიარებელს, უყურადღებოდ არავინ რჩებოდა. ღირსეული მოლხენა იცოდა, დღესასწაულის მოწყობა უხაროდა — დიდოსტატი იყო.

ბატონი რეზოს გამორჩეულად ჯანსაღი აზროვნების გამოხატულებაა ცხოვრებისეულ განვლილ გზაზე ნანახისა და ნაფიქრის ერთად თავმოყრა და პოეზიის მაღალი ტრიბუნიდან წარმოჩინება, რამაც ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთხელ სხვა რაკურსით ჩაგვახედა მისი პიროვნების უხილავ და ამოუცნობ უნარში, არა მარტო მეცნიერებაში, არამედ პოეზიაშიც. ამიტომაც, ასეთი შესაძლებლობების მქონე ადამიანის დამსახურება აღინიშნა ჯილდოთი — გ. ნიკოლაძის მედლით, ხოლო ლიტერატურაში კრებულისათვის „ლექსები“, მას მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის პრემია. გარდა ამისა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია სამთავრობო „საპატიო ნიშნისა“ და ღირსების ორდენებით.

გამორჩეულთა ხვედრია — ბიოგრაფია ისტორიის ნაწილად იქცეს. ასეთი ხვედრი ერგო ბატონ რეზოს, ყველაზე ურთულეს პერიოდში ყოფილიყო ერთ-ერთი წამყვანი ხელმძღვანელი და თითქმის ორი ათეული წელი ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი, აღეზარდა ასეულობით სტუდენტი და მიეცა სწორი დარიგებები.

პატივი გვხვდა წილად ვყოფილიყავით მისი სტუდენტები და თანამშრომლები, ცხოვრების განვლილ გზაზე გვეღვაწა მისი რეკომენდაციებით და რჩევებით.

ბატონი რეზო:

— მაგალითის მიმცემი იყო ყველგან და ყოველთვის;

— ისეთივე შეუვალი და პრინციპული იყო მეგობრობაში, როგორც საქმეში;

— ის უყვარდათ და პატივს სცემდნენ არა მარტო ტექნიკურ უნივერსიტეტში, თბილისსა და ბათუმში, არამედ მთელს ქვეყანაში;

— თავისი თვისებებით იმსახურებდა პიროვნულ პატივისცემას;

— განუზომლად ყურადღებიანი და გვერდში მდგომი იყო ჭირსა და ლხინში;

— მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო ზრუნვა თანამშრომლებზე და სამეგობროზე, ამოუწურავი სიყვარული და ზრუნვა შვილებსა და შვილიშვილებზე;

ათასეულობით ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დიპლომს ამშვენებს ბატონი რეზო სტურუას განუმეორებელი ხელმოწერა;

თუ ამას ვიტყვით, მაინც დაგვრჩება დიდი უკმარისობა, რომ რაღაც დავაკელით, ისე ვერ ვთქვით, მის პიროვნებას რომ ეკადრებოდა. უამრავი რამ დაგვრჩა უთქმელი.

ბატონი რეზო ყოველთვის იდგა ჩვენი სანათესაოს, სამეგობროს და თანამშრომლების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. სამწუხაროდ, ჩვენ ყველამ ერთად ვერ შევძელით მისი სიცოცხლის სადარაჯოზე დგომა.

ადამიანი იბადება ერთხელ, სიკვდილიც ერთია, ხსოვნა კი მარადიული. მისი წასვლით კიდევ ერთი ღირსეული კაცი დააკლდა საქართველოს.

ღმერთმა უმრავლოს ქვეყანას ბატონი რეზო სტურუას მსგავსი ღირსეული შვილები, მისნაირი ადამიანები არასოდეს მოაკლდეს საქართველოს!..

**ანზორ აბშილავა,**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს საინჟინრო და საქართველოს სამთო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი.

**ბიძინა სონღულაშვილი,**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედლის მფლობელი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებელი მშენებელი.

# საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2023“

**საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2023“ 14 ივნისს გაიხსნა, ფესტივალის მე-14 სეზონის გახსნის ცერემონია ქუთაისის, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში გაიმართა.**



თეატრში შეკრებილ საზოგადოებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ მიმართა და ფესტივალს წარმატებული სეზონი უსურვა.

**„იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მთლიანად იმერეთის თეატრალურ ცხოვრებაში. ის ფაქტი, რომ უკვე მეთოთხმეტედ იმართება თეატრალური ფესტივალი, მიუთითებს იმაზე, რომ ძალიან დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში.**

**იგი ყოველწლიურად უფრო მეტ მასშტაბებს იძენს და წელს უკვე ორი უცხოური დასი მონაწილეობს, რაც ვფიქრობ, დიდი მიღწევაა ფესტივალისთვის“,** – განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო რეჟისორ ნინო მაღლაკელიძის სპექტაკლი „ტესტოსტერონი“. საერთაშორისო ფესტივალის ეგიდით მოქმედი პროფესიული თუ სახალხო თეატრების მიერ წარმოდგენილი იქნება 15 სპექტაკლი, მათ შორის ქართველ მაყურებელს საკუთარ შემოქმედებას გააცნობენ იტალიის ქალაქ ნაპოლის ექსპერიმენტული და აზერბაიჯანის სახელმწიფო თეატრები.

**„თეატრალური იმერეთი“ ყოველწლიურად უფრო მასშტაბურია და რეგიონის თეატრების გარდა სხვა დასებიც მონაწილეობენ. წელს ფესტივალზე რეგიონის თეატრალური დასების მიერ წარმოდგენილი განსხვავებული ჟანრისა და შინაარსის სპექტაკლებს შეაფასებს პროფესიული ჟიური და ,,თეატრალური იმერეთი 2023“-ის დასკვნით ღონისძიებაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან.**

მაყურებელს საშუალება ეძლევა 30 ივნისის ჩათვლით მისთვის სასურველ წარმოდგენას დაესწროს, ფესტივალის დახურვის ღონისძიება კი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ თეატრში 1 ივლისს გაიმართება. პროექტს უკვე მე-14 წელია იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და იმერეთის თეატრალური საზოგადოება ერთობლივად ახორციელებს. ასევე, ფესტივალის მხარდამჭერია რეგიონის 12-ვე მინიციპალიტეტი და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. **ფესტივალზე დასწრება თავისუფალია.**



# ქართული კულტურა „ევროპალიაზე“

**ბელგიაში, ბრიუსელში, კულტურის საერთაშორისო ფესტივალ „ევროპალიის“ ფარგლებში, საქართველოს საფესტივალო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წელს პირველად მონაწილეობს „ევროპალიაში“.

**„ევროპალია“ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. კულტურის საერთაშორისო ფესტივალი მოიცავს კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებს, რომლებზეც, მულტიდისციპლინური პროგრამების ფარგლებში, წარმოჩნდება სტუმარი ქვეყნების კულტურა და ხელოვნება“,** – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ევროპალიაზე“ საქართველოს წარსადგენი საფესტივალო პროგრამა ფესტივალის სამუშაო ჯგუფმა შეადგინა და ფესტივალის მონაწილეებიც სწორედ „ევროპალიის“ წარმომადგენლებმა შეარჩიეს. პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა კულტურის სამინისტროც. „ევროპალია“ 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლამდე გაგრძელდება და ღონისძიებები ბელგიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდება. ოთხი თვის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება საქართველოს კულტურა. ფესტივალის სტუმრებს საშუალება ექნებათ, საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება გაიცნონ როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე ხელოვნების საშუალებით.

# „დაისი“ მასიმო ბელინის ოპერაში გაჟღერდება

**ქართული ოპერის იტალიაში დადგმის ფაქტი თავისთავად არის ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენა.**

ზუსტად ასი წლის წინათ შექმნილიეროვნული საოპერო ხელოვნების შედევრი 21 ივნისს სიცილიაში, კერძოდ კატანიაში მასიმო ბელინის სახელობის საოპერო თეატრში შესრულდება იტალიელი სოლისტების, ორკესტრის და გუნდის მიერ. შემოქმედებით გუნდს კი სათავეში უდგას რამდენიმე ქართველი ხელოვანი, ესენი არიან: თბილისის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე, დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, დადგმელი რეჟისორი გოჩა კაპანაძე, სცენოგრაფი გიორგი ალექსი-მესხიშვილი, განათების დიზაინის ავტორი დავით მაჭავარიანი. განგებამ ისინი ბედის რჩეულებად აქცია, რადგან ერგოთ იშვიათი პატივი, ამ ოპერის ისტორიაში ახალი თავი დაიწყონ.

ბელინის ოპერის სოლისტთა შემადგენლობა და გუნდი უკვე ორ თვეზე მეტია ქართულ სასიმღერო ტექსტებს სწავლობს და ხვეწავს. იტალიაში პირველად უნდა გაისმას ქართული კლასიკა.

**როგორც საოპერო აფიშა იუწყება, მალხაზის პარტიას მატეო ფალსიერი შეასრულებს, კიაზოს პარტიას – დომენიკო ბალზანი, მაროს როლში ევა კორბეტას მოუსმენენ, ნანოს პარტიას ანასტასია ბოლდირევა იმღერებს. ტიტოს როლს რობერტო კრესკა შეასრულებს, ცანგალა კი გიორგი ანდღულაძე იქნება.**

ქართული ოპერის იტალიაში დადგმის ფაქტი თავისთავად არის ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენა.




# გუსტავ კლიმტის ნახატი 80 მილიონად იყიდება

**კლიმტის უკანასკნელ ნამუშევარს აუქციონზე 80 მილიონ დოლარად გაიტანენ. ავსტრიელი მხატვრის ტილო სოტბის აუქციონზე მიმდინარე თვის ბოლოს, ლონდონში გამოჩნდება. ნახატი უცნობი ქალის პორტრეტს წარმოადგენს, გუსტავ კლიმტის მიერ ის დასათაურებულია სახელით „Dame mit Father“ (ქალბატონი მარაოთი).**

ტილო კლიმტის სტუდიაში მისი გარდაცვალების შემდეგ, 1918 წელს აღმოაჩინეს. სოტბის სააუქციონო სახლი მას „უკანასკნელ შედევრს“ უწოდებს. CNN-ის ინფორმაციით, კლიმტმა ნახატზე მუშაობა 1917 წელს დაიწყო.



საკმაოდ დიდი ზომის ნამუშევარი (1მX1მ) ამჟამად კერძო კოლექციონერის საკუთრებაშია. აღსანიშნავია, რომ კლიმტის ბევრი სხვა ტილოსაგან განსხვავებით, პორტრეტი დაკვეთით არ შესრულებულა, ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სრულფასოვნად ასახავს მხატვრის შემოქმედებით თავისებურებებსა და მისწრაფებებს. ნახატი პირველად 1994 წელს $12 მილიონად გაიყიდა. მისი ამჟამინდელი ფასი კი მინიმუმ $80 მილიონია.

**რუსუდან ქობულია**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 19 ივნისს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6118; ევრო - 2.8317;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3068;
100 რუბლი - 3.1111; თურქული ლირა - 0.1104;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5335;
1000 სომხური დრამი - 6.7440

**ამინდი 16 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +25 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +23 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე +30 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge